ყოველდღიურად

მოწოდება მისიისკენ

რობერტ სტრიტმა გენერლის მოწოდება
პირადულ ჭრილში მოაქცია

THE SALVATION ARMY

© Copyright 2020
ხსნის არმიის გენერალი

ISBN 978-1-912981-26-7
E-book ISBN 978-1-912981-27-4

საერთაშორისო შტაბბინის მთავარი რედაქტორი
და საავტორო უფლების მდივანი: პავლე მორთლოკი
დიზაინერი: ჯულს ტესტევინ-ჰობსი

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია ამ პუბლიკაციის რეპროდუცირება ან გადაცემა ნებისმიერი ფორმით და გზით, ელექტრონულად ან მექანიკური, მათ შორის ასლის, ჩანაწერის ან ინფორმაციის შენახვის და მოძიების სისტემის საშუალებით გამომცემლობისგან წერილობითი ნებართვი გარეშე.

British Library Cataloguing-in-Publication Data
ამ წიგნის კატალოგის ჩანაწერი ხელმისაწვდომია ბრიტანეთის ბიბლიოთეკაში

ციტატები ძირითადად მოყვანილია ბიბლიის New International Version–UK-ის ვერსიიდან. Copyright © 1979, 1984, 2011 by Biblica, formerly International Bible Society. Anglicised edition first published in Great Britain in 1979 by Hodder & Stoughton, an Hachette UK company. Used by permission. ყველა უფლება დაცულია

დაბეჭდილი და აწყობილია გაერთიანებულ სამეფოში

The Salvation Army International Trust არის საქველმოქმედო ორგანიზაცია რეგისტრირებული ინგლისსა და უელსში (no. 1000566) რომლის ერთადერთი რწმუნებული არის The Salvation Army International Trustee Company, როგორც შპს. რეგისტრირებულია ინგლისსა და უელსში (no. 02538134) მისამართზე:101 Queen Victoria Street, London EC4V 4EH.

www.salvationarmy.org

შინაარსი

გენერლის წინასიტყვაობა	04
მოწოდება მისიისკენ გენერლისგან	06
წიგნის გამოყენების გზები	08
შესავალი	09
პრივილეგია და ლოცვა	10
საკითხავი მუხლი	10
ნაწილი პირველი – იესოს მოწოდება	
იესოს მოწოდება	12
იცნობდე ღმერთს	14
იცნობდე საკუთარ თავს	16
იცოდე შენი მისია	18
ნაწილი მეორე – მკაფიოდ შეცნობა იყავი მზად	
ლოცვა	22
სიწმინდე	25
მზად ბრძოლისთვის	28
ნაწილი მესამე – შეიყვარე მეტად ჩაერთე	
მსახურება	32
თაყვანისცემა	35
ნდობა	38
ნაწილი მეოთხე – მისდიე უფრო ახლოს აიღე პასუხისმგებლობა	
ყველა თაობის წარმოჩენა და ზრუნვა	42
ღირებული თანაგრძნობა	45
ინკლუზიურობა	48
ნაწილი მეხუთე– ყოველდღიურად	
დასაწყისი	52
დისტანცია	54
გამოცდილება	56
დასასრული	58
დამატებითი საკითხავი და შენიშვნები	60

გენერლის წინასიტყვაობა

უფლის მთავარი სურვილია კაცობრიობის გამოსყიდვის გეგმის პრაქტიკაში განხორციელება, როგორც ეს იოანეს 3:16-შია ნათქვამი. ეს არის საერთო მოწოდება ყველასთვის. პირადი ჩართულობა და მიზანდასახულობა, საქმეთა წიგნიდან მოყოლებული დღემდე, წარმოადგენს ქვაკუთხედს - მთავარ ბიძგს, იმ ღმერთის ავტორიზებით და ძალისხმევით, რომელმაც „ისე შეიყვარა, რომ...“

მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის მოწოდება არის მკაფიო და აქვს მიმართულებები, უმეტესობა თანხმდება, რომ შერიგების უკიდურესი სურვილი ღვთის გულიდან მოდის. თანამშრომლობა ხარებაში, მისი სიტყვის მიტანა კასკადივით ეშვება თვით ზეციური ტახტიდან და წვდება მონანიებულ გულებს და მიუძღვება ყოველდღიური მორჩილებისკენ რწმენით. ღმერთთან ერთად სიარულის ჩვენს ‘ყოველლდღიურ’ გამოცდილებას მივყავართ უფალთან ისე ახლოს, რომ ჩვენთვის გასაგები ხდება მისი ნება ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც ხშირად ვუწოდებთ „ჩვენს მოწოდებას.“

სავარაუდოდ გსმენიათ „აალებული ბუჩქიდან“ მოწოდება ან წაგიკითხავს პავლეს „დამასკოს გზის მოწოდება.“ ანდა შესაძლოა ჩემსავით უფალს ისეთი ძლიერად შეიგრძნობთ, რომ დარწმუნებით ამბობთ „იესოს ვუყვარვარ! ეს ვიცი მე..“ - და მისი ნება და მიზანი მზის ამოსვლასთან ერთად მოდის.

მოწაფეობა არმიაში-რასაც ჩვენ ჯარისკაცობას ვეძახით- პირდაპირ კავშირშია მოწოდებასთან, მსახურებასთან და განცალკევებას ქრისტეს მისიაში მონაწილეობისთვის. გენერლის პუბლიკაცია *„მოწოდება მისიისკენ“,* ჯარისკაცად ყოფნის ახალი პერსპექტივისთვის გამოქვეყნებული *„ჯარისკაცად მოწოდებული“* და ამჟამად კი- *„ყოველდღიურად - მოწოდება მისიისკენ“* ატარებს ერთ მარტივ მესიჯს, რომ ხსნის არმიელობა ნიშნავს ხსნის არმიის მისიაში მონაწილეობას. ჩვენ საჯაროდ ვაცხადებთ **მზადყოფნას** - მომზადებულად ყოფნას. ჩვენ შესამჩნევად ვართ **ჩართულნი** - მორჩილი რწმენა თვალშისაცემია. ჩვენ თანხმობას ვუცხადებთ მის მოწოდებას და ვიღებთ საკუთარ **პასუხისმგებლობას** ჩვენი მოწოდების შესრულებაზე.

ამ წიგნში კომისარმა რობერტ სტრიტმა არმიის მიმართ გენერლის მოწოდება მოაქცია პიროვნულ ჭრილში. მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებ არმიის გლობალურ მისიას ვიცი, რომ იგი დამარცხდება თუ ჩვენი ჯარისკაცები არ წამოიმართებიან (მზადყოფნას არ გამოხატავენ) და ნაბიჯს არ გადადგამენ (მოემსახურებიან).

ღმერთის მიერ გამოძერწილი გულით დგას არმია, რომლსაც სანგარი არ მიუტოვებია, არამედ რჩება უფლის მადლში, თან დააქვს სასიხარულო ამბავი, სიბნელეში ანათებს და დიახ, უპირისპირდება ზედმეტად ტოლერანტული სამყაროს უსამართლობას.

გეპატიჟებით უსმინოთ უფალს ამ წიგნის გვერდებიდან. წაიკითხეთ იგი „ჯარისკაცად მოწოდებული“-სთან ერთად და უფლის სიტყვის, ბიბლიის საშუალებით მოუსმინეთ მის ხმას პავლეს სტყვების საშუალებით ეფესელთა 4:1-ში „მოიქეცით მისი მოწოდების ღირსად, რომელშიც მოწოდებულნი ხართ.“ მე მწამს, რომ უფლის მოწოდება მაშინ აღსრულდება ჩვენში, თუ ჩვენ ყოველდღიურად გავხდებით ისეთი, როგორიც უფალს სურს რომ შექმნას ჩვენში.



გენერალი ბრაიან პედლი

საერთაშორისო შტაბბინა, ლონდონი
თებერვალი 2021

მზადყოფნა

ლოცვისკენ მოწოდება: უფალი მოუწოდებს თავის ხალხს უსიტყვო ნდობისა და ლოცვისკენ. ჩვენ უნდა ჩავერთოთ სულიერ ბრძოლაში, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ ჩვენს მუხლებზე.

სიწმინდისკენ მოწოდება: ჩვენ უნდა ვირეკლავდეთ იესოს ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში, ვაღიაროთ რომ სიწმინდეს შეუძლია აღადგინოს კაცობრიობა და უფალთან, ხალხთან და სამყაროსთან ურთიერთობა. ყველა არმიელი უნდა იყოს ბიბლიის ცოცხალი მაგალითი.

მუდამ მზად ბრძოლისთვის! კარგად უნდა გვესმოდეს თუ რამდენად სასწრაფოა ‘ახლა’. სამყაროს ქრისტე სჭირდება დღეს და არა ჩვენი გეგმების შესრულების შემდეგ! მიუხედავად მოძრაობის საჭიროებებისა, ზრდასთან ერთად ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას, გაძლიერებას და უფრო დიდი ბრძოლისთვის მზადებას.



► ჩართულობა

მსახურებისკენ მოწოდება: სხვების მსახურება უნდა იყოს ჩვენი მისიის პრიორიტეტი. უნდა დავაფასოთ ოფიცრობა, ადგილობრივი ოფიცრობა, ერთგულება და უმცროსი ჯარისკაცობა, გავაცნობიეროთ რომ ხსნის არმიის თანამშრომლები და მოხალისეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩვენი ამოცანების შესრულებაში.

თაყვანისცემისკენ მოწოდება: თაყვანისცემით უნდა ვიზეიმოთ უფლის გამომსყიდველი სიყვარული, მოვიძიოთ კულტურისთვის მისაღები ერთად განდიდების და მადლიერების გზა სხვეთან დასაახლოებლად და მისაღებად.

სახარების ნდობისაკენ მოწოდება: როცა ვახარებთ უფლის სიტყვას, ჩვენ უნდა გვჯეროდეს მისი ხსნის და ტრანსფორმირების ძალა. სულიწმინდის ძალით ხდება ადამიანის განთავისუფლება ყველაფრისგან, რაც მას ხელს უშლის ღვთის მიერ ბოძებული პოტენციალის გამოვლენაში.

► პასუხისმგებლობის აღება

ყველა თაობის წამოჩენა და აღზრდისკენ მოწოდება: ჩვენ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ბავშვებზე, მოზარდებზე და მომავალ ლიდერებზე - რათა აღვჭურვოთ, გავზარდოთ, გავამხნევოთ და დავიმოწაფოთ ახლანდელი და მომავალი ხსნის არმიელები.

ღირებული თანაგრძნობისკენ მოწოდება: უნდა დავიცვათ სხვები, ვეძებოთ სამართლიანობა, ვიყოთ გულუხვი და მივიღოთ მონაწილეობა გამომსყიდველ აქტივობებში.

ინკლუზიურობისკენ მოწოდება: თქმაც კი არ უნდა დაგვჭირდეს, რომ ყველა ადამიანს უნდა მოვექცეთ პატივით და თანაგრძნობით, გვახსოვდეს ჩვენი მისია და დახმარების ხელი გავუწოდოთ ყველას დისკრიმინაციის გარეშე.



წიგნის გამოყენების გზები

‘ყოველდღიურად“ ხაზს უსვამს იესოს გაყოლის პირად გადაწყვეტილებას და ასევე აღწერს იმ სიკეთეს, რომელიც მოყვება უფლის სიტყვის და მასთან ურთიერთობის სხვებისთვის გაზიარებას. წიგნის გაგება შეიძლება ორი მიდგომით. „გააზრების“ პუნქტებში შემოთავაზებულია ამონარიდები ტექსტიდან, რომელიც გამიზნულია როგორც პირადი ასევე გუნდური მსჯელობისთვის, ასევე გამოცალკევებულია „მოწოდებები“ თუ როგორნი ვიყოთ და როგორ მოიქცეთ. წიგნი განსაკუთრებით შეიძლება გამოსადეგი იყოს მისიონერული ჯგუფებისთვის ან კორპუსებისთვის, რომლებსაც სურთ ერთად თანამშრომლობა მისიაში უკეთესად ჩართულობისთვის ცვლილებების დროს.

კითხვის დროს თქვენ შეგხვდებათ როგორც პრაქტიკული საკითხები, ასევე იპოვით მოწაფეობისთვის საჭირო შინაგან ძალას.

შესავალი

ვიყოთ ის ვინც ვართ

„მისიისათვის საჭირო ყველა ფაქტორს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უფლის წინაშე სუფთა გულით დგომა.“

გენერალმა ხსნის არმიას მოუწოდა მისიისკენ. ეს არის ის, რასაც არმია აკეთებს, ეს არის ის, რისთვისაც არმია არსებობს. მისიის გარეშე არმია არ იქნებოდა არმია. და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ არმია - ეს არის მოძრაობა მისიით. იგი მსოფლიო ეკლესიის ნაწილია.[1]

არსებობს ცხრა განსაკუთრებული მოწოდება. ისინი ძალიან მკაფიოა და თან ახლავს გამოწვევები. *„ყოველდღიურად“* განაცალკევებს მათ და ასევე პირადი ცხოვრების ჭრილში განიხილავს. იგი ასევე ხაზს უსვამს კავშირს და ძალას, რომელიც სხვა მოწაფეებთან ერთობისას ჩნდება, თუმცა არ სცდება იმ მნიშვნელოვან ფაქტს, რომ იესოს მიმდევრობა პირადი არჩევანია. რა სტრატეგიაც არ უნდა შემუშავდეს, როგორი კამპანიები, იდეები ან საუბრებიც არ უნდა შედგეს, მისია უნდა აღსრულდეს ჩვენს ყოველდიურობაშია, იქ სადაც ვართ, ვინც ვართ და როცა უფლებას ვაძლევთ ღმერთს ისეთ ადამიანად გვაქციოს, როგორიც მას სურს რომ გვიხილოს. უფლის მიერ ჩვენი გამოძერწვის პროცესი ძალზე მნიშვნელოვანია, თუ გვსურს, რომ ვიყოთ მისი და მისი მისიის წარმომადგენლები. არსებითია, რომ მისიისათვის საჭირო ყველა ფაქტორს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლის წინაშე სუფთა გულით დგომაა.

‘ყოველდიურობა’ აღიარებს თუ რამდენად სწრაფად იცვლება სამყარო - სამყარო, რომელიც ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს კონტროლიდან გამოდის. ხშირად პორალიზებული, ამ კუთხით კიდევ უფრო ზრდადი ზოდიერთ შემთხვევაში, კულტურები და საზოგადებები ხშირად შეუწყნარებლები და მტრულადაც კი არიან განწყობილნი განსხვავებული აზრის მიმართ. იესოსგან ვიგებთ, რომ „შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი“. მისი გული ღიაა ყველასთვის. ჩვენი მისიაც ყველასთვისაა - რათა დავანგრიოთ ბარიერები, ხელი შევუწყოთ ურთიერთგაგებას, მოვიტანოთ იმედი და განკურნება, იესოს მსგავსად.

2020 წელს კორონავირუსის გავრცელებამ ფართო მაშტაბიანი გავლენა მოახდინა ჩვენს ცხოვრებაზე - გვაიძულა დაგვეწყო ფიქრი იმაზე რაც ჩვენს პირად კონტროლს არ ექვემდებარება. გვიბიძგა განსხვავებულად გვეფიქრა სამყაროზე, იმაზე თუ ვინ ვართ ჩვენ, რას ვსაქმიანობთ და რატომ. ‘ყოველდღიურად’ გვაძლევს საშუალებას ერთად ვიფიქროთ თუ როგორ მოვიქცეთ მსგავს სიტუაციაში მუდმივად ზრდადი გამოწვევების ფონზე.

გენერალი ბრაიან პედლი გვამხნევეს, რომ იზოლაციისა და ჩვეული საქმიანობიდან ამოვარდნა გამოვიყენოთ, როგორც „ამოსუნთქვის“ საშუალება. ეს წიგნიც იგივეს აკეთებს. იგი გთავაზობთ გააზრების, გადახედვის, გადაჭრის შესაძლებლობებს და გეხმარებათ ყოველდღიურობაში მისდიოთ იესოს.

ყოველდღიურად
პრივილეგია და ლოცვა

იესოს მოწოდება მთელი სიცოცხლე გრძელდება. ის მოკლევადიანი პროექტი ან დროებითი ვალდებულება არ არის, არც ნახევრად გულწრფელი ან შერჩევითი მსახურებაა. იესოს მოწოდება უფლისგან მოდის და მოგვიხმობს, რომ მასთან ერთად ვიაროთ მთელი ცხოვრება. ეს ყველა პრივილეგიაზე უდიდესი პრივილეგიაა.

თავი მიუძღვნა მთელი ცხოვრების მანძილზე, შესაძლოა ძალიან რთული ჩანდეს, მაგრამ იესო გვასწავლის, რომ ეს ნაბიჯი გადავდგათ ნაბიჯ-ნაბიჯ, ყოველ დღე მისი მზრუნველობით და მივენდოთ მის წინამძღოლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცით საით წაგვიყვანს. ჩვენთვის რუკა ან განსაკუთრებული მითითებები არ მოუციათ. სამაგიეროთ ჩვენ აღთქმა, გარანტია მოგვცეს. გაყევი მას და მიეცი უფლება იესოს იზრუნოს ხვალინდელზე (მათე 6:33-34).

წმინდა რიჩარდის ლოცვა

ყველაზე მოწყალე გამომსყიდველო,
მეგობარო და ძმაო,
დაე უკეთ გაგიცნოთ,
უფრო მეტად შეგიყვაროთ,
უფრო ახლოს ვიაროთ შენს გვერდით,
ყოველდღიურად. ამინ

საკითხავი

იყავი მზად – ყოველ დღე
„მუდამ მზად იყავით, რომ სიმშვიდით და
მოწიწებით უპასუხოთ ყველას, ვინც თქვენი იმედის
გამო ახსნა-განმარტებას მოგთხოვთ.“
(1 პეტრე 3:15)

ნაწილი პირველი

იესოს მოწოდება

“იესოს მოწოდება საყოველთაოა, და ამავე დროს ძალიან პირადული.“

იესოს მოწოდება საყოველთაო და ასევე ძალიან პირადულია. თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ჩვენი მოწოდება, მოგზაურობისთვის განკუთვნილი ჩვენი საკუთარი გზა, ჩვენი საკუთარი თავგადასავალი და არჩევანი მივიღებთ მას თუ არა.

იესო მოუწოდებს სხვებსაც. ჩვენ მარტო არ ვართ. უამრავი ადამიანი იღებს მოწოდებას და მზად არის მხარდაჭერისთვის - თუმცა თითოეული ჩვენგანი განსხვავებულად ვრეაგირებთ მასზე.

იესო მოუწოდებს მისიისკენ. პირველ მოწაფეებს ამაში ეჭვი არ ეპარებოდათ. „მომყევი“ თქვა მან „და ადამიანთა მებადურებად გაქცევთ“ (მარკ 1:17). ეს არის მიზანი, რომელიც უნდა აღვასრულოთ.

იესოს მოწოდებას წინამძღოლობა სჭირდება. „მომყევი“ არის პირველი სიტყვა. პრიორიტეტულია, რომ იესოს ცხოვრება იყოს ჩვენთვის მაგალითი. მისი გზით სიარული, მისგან მაგალითის აღება და იმის გაკეთება რასაც ის გვასწავლის ნიშნავს ერთგულებას. ფაქტიურად, მთავარი მიზანი არის, რომ მას დავემსგავსოთ. შეუძლებელია გულწრფელად შევასულოთ მისი მისია თუ ჯერ მას და მის სწავლებას არ შემოვუშვებთ გულში.

მისი რწმენის და ნდობის გარეშე მისიაში ყოფნას არ ექნება შედეგი, თავიდანვე არამყარი იქნება. საბედნიეროდ რაც უფრო ახლოს მივყვებით იესოს, იგი უფრო სარწმუნოა იგი და მისი დანაპირები.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ხსნის არმიის ოფიცრებმა სამ ძირითად საკითხზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ტრეინინგის დროს:

1. იცნობდე ღმერთს
2. იცნობდე საკუთარ თავს
3. იცოდე შენი მისია

ამ სამ საკითხს შემოაქვს სიცხადე. ყველაფერი გასაგები ხდება და მათთვის წარმოადგენს საყრდენს, ვისაც სურს იესოს გაყოლა და მისი ნების შესრულება.

წიგნის შესწავლის პროცესში, ამ საკითხებს უფრო დეტალურად გავივლით იმისთვის, რომ უფრო ეფექტური და ერთგული მოწაფეები ვიყოთ - იესოს წარმომადგენლები - იესოს უტყუარი ანარეკლები, თუ ნამდვილად ვინ არის იგი, რისი გაკეთება შეუძლია მას ჩვენში და რას ითხოვს ჩვენგან. მისი მისიით.

გააზრება

‘თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ჩვენი მოწოდება, ჩვენი გზა მოგზაურობისთვის, ჩვენი საკუთარი თავგადასავალი - და არჩევანი იმისა მივიღებთ მას თუ არა.’

‘პრიორიტეტულია, რომ იესოს ცხოვრება იყოს ჩვენთვის მაგალითი.’

‘შეუძლებელია გულწრფელად შევასულოთ მისი მისია თუ ჯერ მას და მის სწავლებას არ შემოვუშვებთ გულში.’

მოწოდებული
თანაგრძნობისკენ

მოწოდებული
ყოველდღე გაჰყვე იესოს

იცნობდე ღმერთს

მოციქული პავლე ძალიან ჭკვიანი კაცი იყო. განათლებული და პროფესიონალი, ის ყველა წესს იცავდა და პატივსაც სცემდნენ. თითქოსდა ყველაფერი ჰქონდა. ერთხელაც მან ყველაფერს სხვა თვალით შეხედა. მან სხვანაირად დაინახა ის თუ რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს მოხდა იესოსთან შეხვედრისას. ეს მოხდა დამასკოსკენ მიმავალ გზაზე (საქმეები 9). ამან იმდენად შეცვალა მისი ცხოვრება, რომ ის ყოველ თავის მიღწევას „წაგებას“ უწოდებს „იესო ქრისტეს შეცნობის უპირატესობის გამო.“ (ფილიპ 3:7-11). მისი პასუხი იყო პიროვნული და ყოვლისმომცველი.

ჩვენც ასევე აღვიქვამთ? იესოს გაცნობა ნომერი პირველი პრიორიტეტია - საძირკველია, რომელზეც ვაშენებთ ყველა ურთიერთობებს და ამბიციებს? და თუ ასე არ არის, მაშინ რამდენად მნიშვნელოვანია უფლის გულისცემის გაგება, მისი გაცნობა და იმის გაგება თუ რა დაგეგმა ჩვენთვის?

გარკვეულწილად უფლის შეცნობა შეუძლებელია (ესაია 55:8-9). ის ჩვენს ზრახვებზე მაღლა დგას მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ვფიქრობთ, რომ ზოგჯერ ჩვენ მასზე უკეთ გვესმის, თუმცა ფაქტია, რომ ჩვენთვის ნამდვილად შეუძლებელია იმის გაგება თუ რა ქმნის ღმერთს ღმერთად.

თუმცაღა ღმერთი გვეუბნება, რომ ჩვენთან სურს ურთიერთობა რათა შევძლოთ მისი გაცნობა (იოანე 14:23). ეს მესიჯი მკვეთრ ხაზად მიჰყვება მთელ ბიბლიას და ნათლად აისახება იესოში, როგორც ხორცშესხმული ღმერთის ამ ქვეყნად მოვლენაში ადამიანის სახით, რომელიც ჩვენს შორის ცხოვრობდა და გვაჩვენა თუ რეალურად როგორია უფალი (იოანე 1:14). იესოს თავმდაბლობა შობის დროს, მისი სწავლება, ურთიერთობები ხალხთან კარგ წარმოდგენას იძლევა იმაზე თუ როგორია ღმერთი. ყველაფერი, რაც იესომ გვითხრა ხაზს უსვამს იმას, რომ ღმერთი ჩვენს მხარეზეა-მოსიყვარულე და სრულად მიძღვნილი.[1]

ის ურთიერთობების ინიციატორია. თუ ღმერთს აქვს მისია, სწორედ ეს არის მისი მისია. ორი უდიდესი ცნება გაჟღერდა იესოს მიერ დასმული კითხვის პასუხში „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით, მთელი შენი ძალითა და მთელი შენი გონებით; და მოყვასი შენი, როგორც თავი შენი”(ლუკა 10:27). თუ ჩვენ ვეძებთ პასუხს, სწორედ ეს მცნებები გვეუბნება თუ ვინ არის ღმერთი, როგორია მისი ბუნება და რა ამოძრავებს მას. ისინი ნათელი და არაორაზროვანია, და თავს იყრიან ხსნის არმიის ლოზუნგში „ღმერთს-გული, კაცს-ხელი“, რაც ხსნის არმიის მისია სისწორეზე მუთითებს.

თავისი ბუნებიდან გამომდინარე ურთიერთობები ორმხრივია. ჩვენ ჩვენი როლი გვაქვს შესასრულებელი. თუ მთელი გულით გვსურს იესოს გაცნობა, მაშინ ჩვენ ცხოვრებას გავუხსნით მას. ეს ძალიან სასიამოვნო და ეფექტური გზაა. არაფერია დამალული. არანაირი თავის მოტყუებები. თავს არ ვარიდებთ უხერხულ სიმართლეს. იმ ადამიანებს გავიცნობთ უკეთ,

ვისთანაც ვცხოვრობთ. რეალობა ცვლის თეორიას ან ვარაუდს. ასევეა ღმერთთან ურთიერთობაც. ის ჩვენი მოწვევით არის ჩვენთან. საზღვრების გარეშე. იზიარებს ყველაფერს. აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ რამდენად მნიშვნელოვანია მასთან განსაკუთრებული საუბრებისთვის გამოყოფილი დრო. ძვირფას დროს, რომელსაც ვატარებთ მის მოსმენაში და გააზრებაში, აღრმავებს ჩვენს ურთიერთობას მასთან.

უფლის გაცნობა მიმდინარე პროცესია -თავგადასავალი. რაც უფრო მეტად შევიცნობთ მას, მით უფრო მეტად ვრწმუნდებით კიდევ რამდენი რამ გვაქვს სასწავლი. იგივე პრინციპი მოქმედებს სხვა სფეროებში, მათ შორის უფლის სიტყვის შესწავლასა და გაგებაში. ძალზედ მნიშვნელოვანია გულწრფელად გვესმოდეს ჩვენი შესაძლებლობების საზღვრები. იმის მტკიცება, რომ უფლის უფრო მეტად გვესმის, ვიდრე ეს სინამდვილეშია, ხელს უწყობს დაბნეულობას, დამახინჯებას და იმედგაცრუებას.

მეორეს მხრივ, სასარგებლოა იმის ცოდნა, რომ უფალი გვიცნობს სრულად მიუხედავად იმის ვთანამშრომლობთ მასთან თუ არა. ეს არ ცვლის იმას, რომ მას ჩვენთვის საუკეთესო სურს. იესოს თავშეწირული მისია ამ სამყაროსთვის ნათლად ცხადყოფს, რომ ღმერთი ჩვენთვისაა და საუკეთესო სურს ჩვენთვის. ის ნათელყოფს იმას, რომ ღმერთი სიყვარულია და მისი სიყვარულის ობიექტები ვართ ჩვენ (1 იოანე 4:10). თუ პრობლემად კი არა, კურთხევად მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ღმერთმა ყველაფერი იცის ჩვენზე, მაშინ ის წაგვიძღვება მომდევნო ეტაპისკენ - საკუთარი თავის გაცნობისკენ.

გააზრება

„იესოს გაცნობა ნომერი პირველი პრიორიტეტია - საძირკველია, რომელზეც ვაშენებთ ყველა ურთიერთობებს და ამბიციებს?“

„რაც უფრო მეტად შევიცნობთ მას, მით უფრო მეტად ვრწმუნდებით კიდევ რამდენი რამ გვაქვს სასწავლი.“

სასარგებლოა იმის ცოდნა, რომ უფალი გვიცნობს სრულად მიუხედავად იმის ვთანამშრომლობთ მასთან თუ არა.“

მიწოდება ურთიერთობისკენ

მიწოდება

იფიქრე, რატომ სურს უფალს, რომ მასთან გვქონდეს ურთიერთობა.

იცნობდე საკუთარ თავს

პირველად კლასიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი, პლატონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გაუცნობიერებელ ცხოვრებას ფასი არ აქვს.[1] რასაც არ უნდა მიეყვანა იგი ამ დასკვნამდე, სიმართლეა რომ თუ ყურადღებით არ მივუდექით გადაწყვეტილებებს, რისკის ქვეშ ვაყენეთ საკუთარი თავის გაცნობას.

კონკრეტულად რა უნდა გამოვიკვლიოთ? ეს გრძელი სიაა, მაგრამ მასში შედის ჩვენი *მოტივაცია,* ზოგადი *განზრახვები* და იმის *შეფასება,* თუ რისთვის ვცხოვრობთ - ჩვენი ცხოვრების აზრის გასაგებად.

მოტივაცია ავლენს ჩვენს პატიოსნებას ან მის ნაკლებობას. ის გვაჩვენებს ვაკეთებთ თუ არა რამეს გულწრფელად სწორი მიზნისთვის. ვცხოვრობთ სხვების სასიკეთოდ თუ არა. ვუყურებთ თუ არა სხვენს როგორც სტატისტიკურ მონაცემებს საკუთარი ოცნებების ასახდენად ანდა იმისთვის, რომ კარგად ვიგრძნოთ თავი. რეალურად არსებობს თუ არა აბსოლუტურად სუფთა მოტივაცია შეიძლება ბევრი ვიკამათოთ, რადგან საკმაოდ კომპლექსური ქმნილებები ვართ ადამიანები.[2] მაგრამ თუ დავითის მსგავსად (ფს 50:10) ვთხოვთ ღმერთს, რომ ჩვენში შექმნას სუფთა გული, ეს იქნება ყველაზე საიმედო გზა სწორი მოტივაციისთვის ხელშესაწყობად. ჩვენი მოტივაცია სწორ მიმართულებას მიიღებს, თუ ჩვენ უფლის ნების აღსრულებისთვის ვიქნებით მზად და არა საკუთარი სურვილების და ოცნებების ასახდენად.

განზრახვები აფერადებს ყველაფერს და ბევრ რამეს ამბობს ჩვენზე. პავლე გვეუბნება, რომ ქრისტე იესოს ზრახვები გვქონდეს (ფილიპ 2:5), ანუ მივბაძოთ მას, ვინც მზად არის ემსახუროს სხვას და არა საკუთარი თავის განდიდებას. იგივე ზრახვები ნიშნავს, რომ შექებისთვის კი არ ვაკეთოთ ანდა იმისთვის, რომ ღმერთთან ქულები დავაგროვოთ. სწორი ზრახვა ნიშნავს მზადყოფნას, რომ შევხვდეთ და მივიღოთ ადამიანები იქ, სადაც არიან და ისეთები როგორებიც არიან. ეს ასევე ნიშნავს იმის გააზრებას, რომ სხვებსაც შეუძლიათ ჩვენი ცხოვრების გალამაზება და გავლენის მოხდენა. ყველას ვცემთ პატივს და ვაღიარებთ, რომ ყველა ადამიანი შექმნილია უფლის სახედ და ხატად. ჩვენ ყველა მისი შვილები ვართ. მათ შორის არავინაა ფავორიტი- ამიტომ ზემოდან არავის უნდა ვუყუროთ.

ჩვენი არსებობის მიზნის გაგება არის ის მამოძრავებელი ძალა თუ როგორ ვუზიარებთ უფლის მიერ ბოძებულ სიტყვას სხვებს. პირველ რიგში გვჭირდება იმის გააზრება, რომ ეს სიტყვა ჩვენგან არ არის, ის არც ჩვენი მოსაზრებაა და არც მიღწევა -მისი ღირსიც კი არ ვართ. ჩვენც ისევე გვჭირდება მისი მივიღება, როგორც სხვებს. ჩვენ გვჭირდება იმის გაგება, რომ საჭიროა დავინახოთ ჩვენი ადგილი ამ პროცესის დროს, თუმცა ამის უგულებელყოფა ძალიან ადვილად ხდება. საკუთარი წვლილის გადაჭარბებული შეფასება არ ამაღლებს ნდობას. იგი იმის ნიშანია, რომ ჩვენ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი საკუთარი თვის შესაცნობად.

უამრავი არაჩვეულებრივი კურსია ხელმისაწვდომი საკუთარი თავის შესაცნობად. ისინი გვეხმარება აღმოვაჩინოთ ჩვენი ხასიათის ტიპები, უპირატესობები, უნარები, ინტუიცია ან მათი ნაკლებობა, როგორ და რატომ ვრეაგირებთ განსხვავებულად, და ა.შ. გარდა ამისა სანდო მეგობარმა (მეგობრებმა) შეიძლება მოგვაწოდონ უტყუარი ცნობა, რომელიც დაგვეხმარება საკუთარი თავის გაცნობაში. კრიტიკაზე ჯანსაღი რეაგირება ზრდასრულობის ნიშანია, თუმცა ძალზედ მნიშვნელოვანია შემფასებელთა ძალიან ფრთხილი შერჩევა. იესო გვაფრთხილებს, რომ „არ დავუყაროთ მარგალიტები ღორებს“ (მათე 7:6). სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ნუ გაუზიარებ შენთვის ძვირფასს მათ, ვინც ამ პრივილეგიას ბოროტად ან არასწორად გამოიყენებს. შესაძლოა ეს კიდევ ერთი გზა იყოს ჩვენი თავის და ჩვენი რეაქციის შესასწავლად. მას ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რადგან შესაძლოა ეს იყოს ძალიან მტკივნეული და დამანგრეველი.

მეფსალმუნეს ბევრი რამ აქვს ჩვენთვის სათქმელი და ხაზს უსვამს თვითშემეცნების ყველაზე უსაფრთხო და საიმედო გზას. „გამომიკვლიე უფალო და შეიცანი ჩემი გული; შემამოწმე და გაიგე ჩემი აზრები. ნახე, ზიანის მომტან გზაზე ხომ არ ვდგავარ და მარადიულ გზაზე წამიძეხი.“ (ფს 138:23-24). ეს არის ძიების პროცესი, რომელიც მხოლოდ კი არ უნდა დავიწყოთ, არამეს სრულად ჩავერთოდ მასში და მზად ვიყოთ მივიღოთ ის, რასაც აღმოვაჩენთ.

გააზრება

‘ჩვენი მოტივაცია სწორ მიმართულებას მიიღებს, თუ ჩვენ უფლის-და არა საკუთარი- ნების აღსრულებისთვის ვიქნებით მზად.’

‘იგივე ზრახვები ნიშნავს, რომ შექებისთვის კი არ ვაკეთოთ ანდა ღმერთთან ქულების დასაგროვებლად.’

‘საკუთარი წვლილის გადაჭარბებული შეფასება არ ამაღლებს ნდობას.’

მოწოდებული

იყო ღია უფლის წინაშე

მოწოდებული

გამოიკვლიო როგორი ხარ და რატომ

იცოდე შენი მისია

ცხოვრების მიზნის გაგება დიდი კურთხევაა. უბრალო რამ არ არის, როცა დარწმუნებული ხარ იმაში, თუ რა უნდა აკეთო და რა არის შენი მისია. ყველა ვერ ახერხებს ამის გაგებას და გულწრფელი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ბევრს არც აინტერესებს. ჩვენ აღფრთოვანებული ვართ მათი, ვინც ერთგული დარჩა თავისი ცხოვრებისეული მისიის და მათ უდიდესი გავლენა მოახდინეს - ესენი არიან ცნობილი ადამიანები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს მედიცინაზე, სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, სამართლიანობაზე, მშვიდობაზე, საკვების მარაგებზე, გამოგონებებზე და ცვლილებებზე. მათი კმაყოფილების გრძნობა უწყვეტია საკუთარი მიღწევების და დადებითი გავლენის გამო.

უმეტესობა ჩვენგანი ვირჩევთ ჩვეულებრივ ცხოვრებას– იქ სადაც ვართ. ჩვენ არ ვაპირებთ სამყაროს შეცვლას ან სახელის მოხვეჭას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ღირებული ან ეფექტური გავლენა მოვახდინოთ. ეს არ ნიშნავს, რომ ცხოვრება არ იქნება სავსე თავგადასავლებით. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვართ მოწოდებულნი და არ გვაქვს მისია შესასრულებელი. ცხოვრებისეული მისია, რომელიც დაფუძნებულია ღმერთის და სხვებისადმი სიყვარულზე, არასდროს არის გაფლანგული.

იესოს სურს, რომ ჩვენც ავივსოთ კმაყოფილების გრძნობით, იმის განცდით რომ საუკეთესოდ გამოვიყენეთ ჩვენი ცხოვრება.[1] იესოს მისია იყო ერთად მოეყარა თავი ღმერთისთვის და კაცობრიობისთვის -კარი გაეღო კარგი ურთიერთობებისთვის, დაემსხვია ბარიერები და გადაელახა დაბრკოლებები, რომლებიც ხელს გვიშლის ვიყოთ ის ვინც შეიძლება ვიყოთ და როგორი სურს ღმერთს, რომ ვიყოთ. იესომ დედამიწაზე აღასრულა ის, რისთვისაც მოვიდა. დღეს იესო გვიხმობს დავეხმაროთ სხვებს მათი მისიის შესრულებაში (მარკ 16:15 და საქმ 1:8).

ჯერ გვიან არ არის შეცდომების გამოსწორება დაავადებების აღმოსაფხვრელად, ჭრილობების განსაკურნებლად ან დამსხვრეული ცხოვრების შესაკოწიწებლად. უილიამ ბუთის სიტყვები „მე ვიბრძოლებ“ ეხმიანება არაერთ პრობლემას და ხალხი საჭიროებს ჩვენს ზრუნვას და ჩართულობას.[2] 21-ე საუკუნეს თავისი გამოწვევები ახლავს თან, თუმცა ამ ყველაფრის საწყისი არსებითად ერთი და იგივეა. ჯონ გოუენსმა მისამღერში ლამაზად შეაჯამა ის რაც ტკივილს უკავშირდება - „მათ სჭირდები შენ, მათ ვჭირდები მე, მათ სჭირდებათ ქრისტე.“[3] ჩვენ ერთად ვმუშაობთ.

ჩვენი საერთო მისიაა რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა გაიგოს ქრისტეს ძალა, რომელიც ცვლის. რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა ნახოს თუ როგორ აღადგენს იგი დაკარგულ ნდობას, დამცირებულს და დამარცხებულს, აძლიერებს სუსტს, ანახლებს იმედს და დიდი ხნის უკან მკვდარ რწმენას. ჩვენი მისიაა ხალხს ვაჩენოთ სწორი მიმართულება, მათ გვერდით ვიაროთ და დავეხმაროთ, რომ იესო იპოვნონ თვითონ. ეს ნიშნავს იესოს მსგავსად

მათთან მისვლას იქ სადაც არიან, მათი ისტორიების მოსმენას. დროის დათმობას იმაზე ფიქრში, თუ რატომ ფიქრობენ ისინი ისე, როგორც ფიქრობენ და რატომ ირჩევენ პრიორიტეტებს. რთულია ადამიანების ისე დახმარება თუ არ ვიცით მათი საჭიროებები.

ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია ვაკონტროლოთ ჩვენი ეგო. არ უნდა გავაკეთოთ მკვეთრი განცხადებები იმაზე, რაშიც დარწმუნებული არ ვართ და მუდამ ვიყოთ მზად ვისწავლოთ ღმერთისგან. სახარება ძალამოსილია და შეუძლია შეცვალოს ცხოვრება, მაგრამ მას საძირკველი ეცლება თუ იგი წარმოდგენილი არ არის ჭეშმარიტებით, გაგებით და თავმდაბლობით.

იმ ადამიანების გაცნობა, რომლის დახმარებასაც ვცდილობთ, მოითხოვს წრფელ ინტერესს, გულახდილ ურთიერთობასა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნას. მოკლედ ეს არის იესოს მიბაძვა. იგი ღმერთზე ბუნებრივად საუბრობდა. მან მომავლის და ტრანსფორმაციის რწმენა მისცა მათ ვისაც ამის იმედი არ ჰქონდა. ჩვენი მისიაა იგივე შესაძლებლობები შევქმნათ, სადაც უფალი იმომედებს თავისი ძალით.

გააზრება

‘ცხოვრებისეული მისია, რომელიც დაფუძნებულია ღმერთის და სხვებისადმი სიყვარულზე, არასდროს არის გაფლანგული.’

‘იესოს სურს, რომ ჩვენც ავივსოთ კმაყოფილების გრძნობით, იმის განცდით, რომ საუკეთესოდ გამოვიყენეთ ჩვენი ცხოვრება.’

‘ჩვენი მისიაა ხალხს ვაჩენოთ სწორი მიმართულება, მათ გვერდით ვიაროთ და დავეხმაროთ იესოს პოვნაში.’

მიწოდებული
ცნობიერების ასამაღლებლად

მოწოდებული
იესოს მისიის საფუძვლების დასადგენად

ნაწილი მეორე
მკაფიოდ შეცნობა

იყავი მზად

‘იესოს გაცნობა, მასთან ყოველდღიური ურთიერთობა და მასზე ზრუნვა ყველაზე ეფექტური გზაა, რომ ვიყოთ მზად მისიის შესასრულებლად მისი სახელით’

ლოცვა

- **მოწოდება ლოცვისკენ**: უფალი მოუწოდებს თავის ხალხს უსიტყვო ნდობისა და ლოცვისაკენ. ჩვენ უნდა ჩავერთოთ სულიერ ბრძოლაში, ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ მუხლებზე დგომით.

ლოცვა არის პირადი ურთიერთობა ღმერთთან. შესაძლოა ვილოცოთ სხვებთა ერთადაც ჯგუფში ან თემში, მაგრამ იგი ყოველთვის ინდივიდუალურია. ის თუ რა ხდება მლოცველსა და ღმერთს შორის არავინ იცის. იგი უნიკალურია. იგი შესაძლოა იყოს ძვირფასი ან უაზრო, ისეთი რომელსაც ამას პიროვნება ირჩევს.

ლოცვის იმდენი გზა არსებობს, რამდენი ადამიანიცაა. ჩვენ ერთმანეთისგან განვსხვავდებით. უფალმა ეს იცის. მან შეგვქმნა და შეუძლია კომუნიკაცია იმ ფორმით, რომელიც დაგვეხმარება. იესო გვეუბნება, რომ ღმერთი მივიღოთ როგორც მოსიყვარულე მამა, რომელთანაც ადვილია საუბარი და რომელიც გვისმენს (მათე 6:6). ამით მან ხაზი გაუსვა არამარტო ჩვენს განსხვავებულ ლოცვის სტილს, ასევე იმას, რომ უფლის კარი მუდამ ღიაა ყველა ადამიას წინაშე.

არ ვიცით რა რეაქცია ჰქონდა ხალხს ამაზე. ყოვლისშემძლე ღმერთს ძველ აღთქმაში მამას უწოდებენ,[1] თუმცა იესოს სწავლება მას აძლევს მეტ სითბოს და პირდაპირ ამხნევებს ყველას იყვნენ სრულიად გულწრფელნი ღმერთთან, რომელიც მზად არის მოუსმინოს ყველას საწუხარს. ისევე როგორც მრავალწევრიან ოჯახებში შვილისთვის ყველაზე ძვირფასია მშობლებთან გატარებული დრო განცალკევებით, ასევე ჩვენც გვაქვს შესაძლებლობა განვიცადოთ უფალთან ურთიერთობის სიხარული მასთან პირისპირ, ერთი-ერთზე ურთიერთობისას.

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ლოცვა იყოს ფორმალური, მოკრძალებული და წმიდა, თავის სიღრმეში იგი ინტიმურია და ღიაა ღრმა ურთიერთობებისთვის. ურთიერთობების თემა იღვრება მთაზე ქადაგებისას (მათე 5-7). ეს თავები რევოლუციურია მიზეზთა გამო და ერთ - ერთი განცხადებისას იესო ამბობს, რომ ყველას, განურჩევლად კლასისა და თანამდებობისა, აქვს პირდაპირი კონტაქტი ღმერთთან. ეს ურთიერთობა დამოკიდებული არარის არავის უპირატესობასა და კურთხევებზე. ამისთვის საჭირო არ არის ცერემონია, რიტუალი, ეკლესიის ავტორიტეტი ან მღვდელი.[2] ეს ყველაფერი შესაძლოა სასარგებლო საშუალება იყოს (და არის) და გამამხნევებელიც კი, თუმცა იესოს სწავლების მიხედვით, მათ არ უკავიათ „არსებითი“ ადგილი-რაც ხშირად უგულვებელყოფილია ხოლმე. ჩვენ შესაძლოა გვქონდეს განსაკუთრებულად ღრმა კავშირი (ფილიპ 4:5-7).

მათ 7:7-11-ის მიხედვით იესო გვამხნევებს მამა ღმერს ვთხოვოთ ‘სიკეთე’, ის რაც უკეთეს ადამიანად გვაქცევს. ‘მამაო ჩვენო’-თი (მათ 6:9-13), იესო გვასწავლის, რომ მისი ნების აღსრულება ვთხოვოთ ღმერთს. ამით იგი

გვასწავლის თავი ავარიდოთ ეგოისტურ თხოვნებს და გვეხმარება ლოცვის უფრო ღრმა მნიშვნელობის გაგებაში.

ხანდახან გვსურს გავიგოთ უპასუხა თუ არა ღმერთმა ჩვენს კონკრეტულ ლოცვას. ამის გაგება ადვილი არ არის. შესაძლოა ამან ძალიან ზედაპირულ დასკვნამდე მიგვიყვანოს, ხანდახან ძალიან ზერელედ ვუყურებთ იმ ფაქტს, რომ უფალს უკეთ ესმის კონტექსტი და ის სამყარო რაზეც ვლოცულობთ - და ამიტომაც მან ჩვენზე უწინ იცის რას ვთხოვთ (მათ 6:8). ჩვენ იმიტომ არ ვლოცულობთ, რომ ის რამეში დავარწმუნოთ. ჩვენ შეიძლება დავუშვათ შეცდომა და დაჟინებით მოვითხოვოთ მისგან ბავშვივით „შენ ხომ დამპირდი“, ან მისი მზრუნველი მიზნებისთვის შეუფერებლად მივმართოთ მამას.

მთაზე ქადაგება ასევე ეხება ჩვენს ურთიერთობებს სხვებთან. იესო მას ასე აჯამებს „..როგორც გინდათ, რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ასევე მოექეცით მათ“ (მათ 7:12). გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქრისტიანთა უმეტესობა ლოცულობს ყველაზე ახლობლებისთვის და საკუთარი თავისთვის. იესოს სურს, რომ სხვებიც იყვნენ ჩვენი ლოცვის ობიექტები. ეს მხოლოდ გვამდიდრებს. ისინი ვინც მიძღვნილნი არიან ლოცვისთვის - კონკრეტული ადამიანები და სიტუაციებია მათი ლოცვის ობიექტი - ავლენენ უანგარო ერთგულებას, რომელსაც უძლიერესი ეფექტი გააჩნია. თავდადებული ლოცვები, რომელიც გაჟღენთილია უკიდურესად აუცილებელი საკითხებით იმდენად ფასეულია, რომელსაც მომავალი თაობა შეაფასებს და რომელიც უპირობოდ უნდა შევინარჩუნოთ.

საუკეთესო შემთხვევაში, გაერთიანებული ლოცვა გვაკავშირებს და გვაძლიერებს. მისი ძალა და ეფექტურობა ქრისტიანული რწმენისა და საზოგადოების ჩამოყალიბებაში ფასდაუდებელია (საქ 2:1).

ლოცვას მრავალი გამოხატულება აქვს – თაყვანისცემიდან დაწყებული, შუამავლობით და განდიდებით მონანიებამდე და ვედრებამდე (და კიდევ უფრო მეტი)- და წმინდა სახით მიგვაქვს უფლის წინაშე. როგორც კენტერბერის ყოფილმა არქიეპისკოპოსმა განაცხადა სიღრმისეულად „მივცეთ უფლება ღმერთს აღმოჩნდეს ჩვენში.“[3]

იგი შესაძლებელი ხდება ლოცვის მომენტში _“მუხლებზე“_ და ყოველდღიურად იმის ღრმა ცოდნით, რომ ღმერთი ჩვენს გვერდზეა ყოველწამს. იგი ჩვენს გვერდითაა მოწოდებით, წინამძღოლობით, ძალით, გაზიარებით. და ჩვენ ვიბრძვით -ძირითადად საკუთარ თავთან- მისი დახმარებით.

გააზრება

‘ის თუ რა ხდება მლოცველსა და ღმერთს შორის არავინ იცის. იგი უნიკალურია.’

‘უფალს უკეთ ესმის კონტექსტი და ის სამყარო რაზეც ვლოცულობთ - და...მან ჩვენზე უწინ იცის რას ვთხოვთ.’

‘იესოს სურს, რომ სხვებიც იყვნენ ჩვენი ლოცვის ობიექტები. ეს მხოლოდ გვამდიდრებს.’

‘ისინი ვინც მიძღვნილნი არიან ლოცვისთვის- კონკრეტული ადამიანები და სიტუაციებია მათი ლოვცის ობიექტი-ავლენენ უანგარო ერთგულებას, რომელსაც უძლიერესი ეფექტი გააჩნია.’

მოწოდებული
მუსლიმი

მოწოდებული
იფიქრე რაზე უნდა და რაზე არ უნდა ილოცო.

სიწმინდე

- **სიწმინდისკენ მოწოდება:** ჩვენ უნდა ვირეკლავდეთ იესოს ჩვენი ცხოვრების ყველა ასპექტში, ვაღიაროთ რომ სიწმინდეს შეუძლია აღადგინოს კაცობრიობა და უფალთან, ხალხთან და სამყაროსთან ურთიერთობა. ყველა არმიელი უნდა იყოს ბიბლიის ცოცხალი მაგალითი.

იმ ადამიანების განცხადება, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ქრისტესმსგავსნი არია, შესაძლოა მივიჩნიოთ ბოდვად და შეცდომად. ისინი ჰგვანან მათ, ვინც ცდილობს საკუთარ თავმდაბლობაზე გაუსვას ხაზი. მსგავსი თავდაჯერებული განცხადებები ამ კონცეფციისთვის შეუთავსებელია. საბედნიეროდ ის ადამიანები, ვისაც ჩვენ ყველაზე მეტად ვამსგავსებთ ქრისტეს, ყურადღების მიქცევას არ ცდილობენ. სავარაუდოდ ისინი ვერც კი ხვდებიან რა შთამაგონებელ გავლენას ახდენენ ჩვენზე.

თუმცაღა იმაზე უკეთესი მიზანი არ არსებობს, ვიდრე სწრაფვა იმისკენ, რომ დავემსგავსოთ ქრისტეს, იესოს-რომლის ცხოვრება მისივე სწავლების საუკეთესო მტკიცებულება იყო, იესოს-რომლის სწავლება არის უაღრესად ღირებული, იესოს-რომელმაც უარი თქვა თავის დიდებულებაზე რათა ჩვენთვის დამარწმუნებელად ეთქვა, თუ რამდენად ღირებულნი ვართ. იესოს-რომელმაც საკუთარი ტანჯვით და სიკვდილით გვაჩვენა, რომ ჩვენ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ვართ მისთვის, ვიდრე ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. სწრაფვა იმისკენ, რომ უკეთ დავემსგავსოთ იესოს, მხოლოდ საუკეთესო მიზანი კი არა, ერთადერთი ადგილია, რომელიც გვამდიდრებს.

ის ფაქტი, რომ იესო იყო თავისი სწავლების ცოცხალი მაგალითი, გვეხმარება დავინახოთ მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. სახარებაში ვხედავთ, რომ ის ინიციატივას იღებს (იოანე 4), მზად არის გამოეხმაუროს თხოვნას (მათ 8:5-13), უპასუხოს კითხვებს (მარკ 10:17) და კრიტიკას (მარკ 11:27-33). ეს მაგალითები გარკვეულ მითითებებს იძლევა კითხვაზე „რას გააკეთებდა იესო?“. ყოველთვის არ გვხვდება ჩვენთვის შესაბამისი მაგალითები, თუმცა მისი ცხოვრების შესწავლით ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ მისი პრიორიტეტები და პრინციპები.

უამრავი მადლიერი დამოწმებები გვსმენია მათგან ვინც იესოს მოწოდებას გაჰყვა. ეს სიტყვები იყო ‘გამომყევი“. ეს არ ყოფილა მთელი რიგი დოქტრინების და წესების დაცვისკენ მოწოდების ინსტრუქცია, რომელიც თავისთავად ასევე მნიშვნელოვანია. ეს იყო პიროვნული მოწოდება - ერთი ადამიანის მხრიდან მეორეს მიმართ- ‘მე’ გამომყევი. იესომ, ადამიანში მოვლენიმა უმაღლესმა ღმერთმა, გამოგვიგზავნა მოსაწვევი, რომ გავყოლოდით (მათ 4:18-20) და დავმსგავსებოდით მას (მათ 11:28-29).

მას შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში დღემდე, ასწავლიდნენ თუ როგორ უნდა ეცხოვრათ წმინდა ცხოვრებით. სიწმინდის ზოგიერთი მოძღვრება დადასტურდა და განმტკიცდა. ზოგიერთი მითითებები კომპლექსური, ზედმეტად დეტალური, ხან გაუგებარი ანდა წინააღმდეგობრივი იყო. მოძღვრება საუკეთესოა, როცა ყველა ურთიერთობების ცენტრში იესოა.[1] იგი ნათელი, გასაგები და პრაქტიკული ხდება, როგორც ეს ხაზგასმულია არმიის საგალობლების წიგნში.[2] წრფელი წმინდა ცხოვრება ნიშნავს ქრისტეს მიყოლას, სწავლას, მორჩილებას, განწმენდას და გაყოლას. იგი არარის დამოკიდებული თეოლოგიურ ტერმინებზე ან უცოდველ სრულყოფილებაზე. ეს მხოლოდ ურთიერთობებია. როგორც გენერლის მოწოდებაშია ნათქვამი „..სიწმინდეს შეუძლია აღადგინოს კაცობრიობა და უფალთან, ხალხთან და სამყაროსთან ურთიერთობა.“

ეს მხოლოდ იესოს მიბაძვა არარის, რადგან ამის თქმა უფრო ადვილია ვიდრე გაკეთება - და რათქმაუნდა იესომ იცის ეს. ამიტომ პირობა დადო, რომ სულიწმინდის საშუალებით დაგვეხმარებოდა და მუდამ იქნებოდა მისი მოწაფეების „გვერდით“ (იოან 14:16). უფლის სული ჩვენში, რომელსაც კეთილად დავხვდით და პატივისცემით ვექცევით, ჩვენი კომპანიონია. ურთიერთობა ინტერაქტიული, ცოცხალი და ძალის მომცველია. როდესაც ფხიზლად ვართ სულიწმინდის თანდასწრებაში, მაშინ ჩვენს ვიზრდებით. ის მიგვიძღვება, გვამხელს, შთაგვაგონებს, გვკარნახობს, გვამხნევებს და უფლებით გვმოსავს.

ამასთანავე, ღმერთის თანდასწრება ძალით არ შემოდის ჩვენში და არც ავტომატურად გვთავაზობს წმინდა ცხოვრებას. ჩვენს გაცნობიერებულ არჩევანს- გავყვეთ იესოს- თან უნდა ახლდეს მის მიმართ, როგორც წინამძღოლის მიმართ, მუდმივი მორჩილება თუ გვსურს ჩვენი კეთილშობილური იმედების აღსრულება.

ეჭვი არ არის, რომ ღვთიური დახმარება გვჭირდება, რადგან ღმერთმა იცის, რომ ცხოვრებისეული საზრუნავების წინაშე ვდგევართ. დარდი საკუთარ თავზე და სხვებზე, სირთულეები, რომელიც გვამძიმებს, დაულაგებელი პასუხისმგებლობები, უსამართლობები რომელიც გვამცირებს და გვანრისხებს. ხანდახან შეიძლება ვფიქრობთ, რომ უკეთესადაც შეგვეძლო გაგვეკეთებინა. შესაძლოა ვფიქრობთ, რომ სუსტები ვართ და ქრისტეს მსგავსი ნამდვილად არ ვართ. შეიძლება ვნანობდეთ რამეს ანდა წარუმატებლები ვიყოთ. მიუხედავად ამისა ყველაფრით და ყველაფერში, ჩვენ გვყავს ღმერთი, რომელსაც ესმის ჩვენი და გვერდში გვიდგას . როგორც კი მისკენ ვბრუნდებით, ჩვეში იწყება (შესაძლოა შეუმჩნევლადაც) იესოს სულის არეკლვა, ვისაც მივყვებით და ვემსახურებით.

იესოს გაცნობა, მასთან ყოველდღიური ურთიერთობა და მასზე ზრუნვა ყველაზე ეფექტური გზაა, რომ ვიყოთ მზად მისი სახელით მისიის შესასრულებლად. როგორც წმინდა რიჩარდი ლოცულობდა - იესოს უკეთესად გაცნობა -რეალურია, რითაც პროგრესს მივაღწევთ ჩვენი მოწაფეობის მთავარ მიზანში - გავხდეთ ჩვენი ლიდერის მსგავსი.

გააზრება

‘სწრაფვა იმისკენ, რომ უკეთ დავემსგავსოთ იესოს, მხოლოდ საუკეთესო მიზანი კი არა, ერთადერთია რაც გვამდიდრებს.’

‘საბედნიეროდ ის ადამიანები, ვისაც ჩვენ ყველაზე მეტად ვამსგავსებთ ქრისტეს, ყურადღების მიქცევას არ ცდილობენ.’

‘წრფელი წმინდა ცხოვრება ნიშნავს ქრისტეს მიყოლას, სწავლას, მორჩილებას, განწმენდას და გაყოლას.“

‘ღმერთის თანდასწრება ძალით არ შემოდის ჩვენში და არც ავტომატურად გვთავაზობს წმინდა ცხოვრებას..’

მიწოდება
დავემსგავსოთ
იესოს

მოწოდებული
დარწმუნდით, რომ
სულიწმინდა არის თქვენს
ცხოვრებაში

მზად ბრძოლისთვის

- **მუდამ მზად ბრძოლისთვის!** კარგად უნდა გვესმოდეს თუ რამდენად სასწრაფოა ‘ახლა’. სამყაროს ქრისტე სჭირდება დღეს და არა ჩვენი გეგმების შესრულების შემდეგ! მიუხედავად მოძრაობის საჭიროებებისა, ზრდასთან ერთად ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას, გაძლიერებას და უფრო დიდი ბრძოლისთვის მზადებას.

ჩვენ ვცხოვრობთ მყისიერი გადაწყვეტილებების სამყაროში. მივეჩვიეთ „მოკლე გზებით“ წარმატებების მიღწევას ან ‘ახლა’ იმის მიღებას, რაც ჩემთვის სასურველია. საჭირო აღარ არის ლოდინი, როგორც ეს საუკუნეების მანძილზე ხდებობა. ჩვენ მოთმინებაზე აღარ ვართ პროგრამირებულები. განსაკუთრებით ახლა, როცა ელექტრონული მედია გვაძლევს ყველაფერზე წვდომის საშუალებას მხოლოდ კლავიტურაზე შეხებით.

თუმცა ყოველთვის იყო იმის განცდა, რომ არ უნდა დავაგვიანოთ და უნდა ვახაროთ სახარება ადამიანებს. განცდა იმისა, რომ ‘არ დაგვაგვიანდეს’ იქედან კი არ უნდა მოდიოდეს, რომ არცერთ ჩვენგანს არ გვაქვს გარანტირებული ხვალინდელი დღე, არამედ იქიდან, რომ არგვინდა ვინმეს კიდევ ერთი დღით დააგვიანდეს უფლის სიყვარულით ცხოვრება. როგორც ებრაელთა წერილის ავტორი ამბობს ‘დღეს’ არის ხსნის დღე. ყოველდღიურად.

იმ სურვილით, რომ სხვებმაც გაიხარონ იესოს გაცნობით, ზოგიერი ევანგელისტი ფიქრობს, რომ კარგი იქნება თუ სარწმუნო მესიჯად გამოიყენებენ, მარადიული ტანჯვის შიშს - რომელიც შესაძლოა მსმენელისთვის გაუგებარი იყოს, და დაბადოს კითხვა, რომ თუ ღმერთს ვუყვარვართ, როგორ გვიმეტებს სამუდამო სატანჯველისთვის. ამის თქმას არ ცდილობდა იესო სწავლებისას. ის თვითკმაყოფილ რელიგიურ ლიდერებს მიმართავს და ეუბნება, რომ მეძავეები მათზე წინ შევლენ ცათა სასუფეველში (მათ 21:31), იგი ამ გზით გაგებით მიუდგა მათ ვინც ფიქრობდა, რომ „არანაირი შანსი არ ჰქონდა“ და მათ ვისი თვითდაჯერებულობით საერთოდ არ იყო მოხიბლული. სამსჯავრო კი სჯობია მივანდოთ ღმერთს.

თანამედროვე კომუნიკაციების ხანაში, უფრო ბევრ გაჭირვებულს ვხედავთ ვიდრე მათი დახმარება შეგვიძლია. მილიონობით ლტოლვილს არ აქვს სახლი. ისინი არცერთ მხარეს არ ეკუთვნიან. მათ სჭირდებათ ვინმე ვინც მათ მოუსმენს, ვინც დაეხმარება და სიკეთით მიიღებს. რასობრივი დისკრიმინაცია კაცობრიობის ლაქაა უკვე დიდი ხანია. სასწრაფოდ საჭიროა თამამი გადაწყვეტილებები და კულტურული ‘ნორმების’ ცვლილებები. მთელ მსოფლიოში ქალების და გოგონების შოკისმომგვრელი და სასტიკი დისკრიმინაცია დაუშვებელია თუმცა, რეალური. ყოველი დღე, სწორი ქმედების გარეშე, ტანჯვის და ტრაგედიის მორიგი დღეა მილიონობით ადამიანისთვის.

უსამართლობა სახლში, სამსახურში თუ ხელისუფლების მხრიდან უშედეგოდ ელოდება ცვლილებას. ძალადობის, თაღლითობის და ღალატისგან განადგურებული ადამიანები ეძებენ ნუგეშს და განკურნებას. კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების, უსახლკარობის, შეუწყნარებლობის, შიმშილის, სიღატაკის და დაუცველობის პრობლემების მოგვარება საჩქაროა - თუმცა ხშირ შემთხვევაში არაფერი იცვლება.

ამ და სხვა საჭიროებების სამყაროში ხსნის არმია პირობას დებს, რომ მოემსახურება და მიიღებს უპირობო მონაწილეობას. მას ყველა პრობლემის გადაჭრა არ შეუძლია. ისინი, ვინც მსგავსი პრობლემების ცენტრში იბრძვიან, ხშირად ფიქრობენ თუ რა სუსტები არიან ადამიანური საჭიროებეის წინაშე არასაკმარისი რესურსების გამო. პრობლემების მოგვარება სასწრაფო გადაწყვეტილებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ არარეალური და შეუძლებელია მუდმივი ჩართულობის შენარჩუნება, მნიშვნელოვანია თვითკმაყოფილებით არ ავივსოთ და არ დავკარგოთ მოტივაციის ჟინი.

იესოს მოწოდებას მივყავართ ამ ან მსგავს სცენარამდე. ენთუზიაზმით სავსე და თავდაუზოგავი ახალგაზრდები გვჭირდება სასწრაფოდ. შეუფასებელია მიძღვნილი ზრდასრული ადამიანების გამოცდილება და გაგება. უამრავი შესაძლებლობაა ჩვენს გარშემო, რომელიც ითხოვს ჩვენს მოქმედებას ახლა.

წმინდა ფრანცისკე არ არის ისეთი ადამიანი, ვისაც ბუნებრივად შეესაბამება ტერმინი „მზად ბრძოლისთვის“, თუმცა მისი კარგად ცნობილი გამონათქვამი „ყველგან, სადაც შესაძლებელია, იქადაგე სიტყვა და თუ საჭიროა, სიტყვითაც“, მიუთითებს იმაზე, რომ მან ეს მაგალითი მიიჩნია სახარების ეფექტურობის პირდაპირ და ჭეშმარიტ მტკიცებულებად.[2]

კორონავირუსით გამოწვეულ პანდემიას თან ახლდა პანიკა და უკიდურესად აუცილებლობის განცდა. პანიკა იმიტომ, რომ უცბად ყველანი დაუცველნი აღმოვჩნდით სიცოცხლისათვის საშიში დაავადების წინაშე რა დროსაც უკიდურესად აუცილებელი გახდა ზარალის მინიმუმამდე დაყვანის აუცილებლობა და ვაქცინის შექმნა, პრევენციის მიზნით. მან ასევე ბევრი ადამიანი დააფიქრა რწმენაზე ამ არამყარ სამყაროში, რამაც ქრისტიანებს მისცა საშუალება მის გასაზიარებლად.

უკიდურესად აუცილებლობის განცდა პანიკას არ ნიშნავს. თავისი მისიის შესრულებისას იესოს მსახურებაში იყო მომენტები, როცა უარი თქვა სასწრაფო მოქმედებაზე და პანიკაზე.[3] მიუხედავად იმისა, რომ ამ სამყაროში მისი მსახურება დროში იყო შეზღუდული, მის სიტყვაში და მოქმედებაში მუდმივობა იგრძნობოდა. იგი ყურადღებას მარადიულობაზე ამახვილებდა. ჩვენთვისაც იგივე უნდა იყოს პრიორიტეტი.

მისიის შესრულების დროს დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ არაფერია გასაკვირი ჩვენი მარადიული ღმერთისთვის. შესაძლოა ზოგიერთი რამე „მის გულს ამსხვრევს“, თუმცა ჩვენ არასდროს გვტოვებს მისი ზრუნვა. ის ისევეა ჩვენს წარსულში და მომავალში, როგორც „ამჟამად“-და არასდროს ვარდება პანიკაში. „იესო ქრისტე იგივეა გუშინ და დღეს და უკუნისამდე“ (ებრაელთა 13:8) მყარი საძირკველია ჩვენთვის მისი ნების და საქმის შესრულებისას. ყოველდღიურად - ნაბიჯნაბიჯ.

გააზრება

‘იმი ამ გზით გაგებით მიუდგა მათ ვინც ფიქრობდა, რომ „არანაირი შანსი არ ჰქონდა“ და მათ ვისი თვითდაჯერებულობით საერთოდ არ იყო მოხიბლული.’

‘ყოველი დღე, სწორი ქმედების გარეშე, ტანჯვის და ტრაგედიის მორიგი დღეა მილიონობით ადამიანისთვის..’

‘ისინი, ვინც მსგავსი პრობლემების ცენტრში იბრძვიან, ხშირად ფიქრობენ თუ რა სუსტები არიან ადამიანური საჭიროებეის წინაშე არასაკმარისი რესურსების გამო.’

‘მისიის შესრულების დროს, დარწმუნებულნი ვიყოთ, რომ არაფერია გასაკვირი ჩვენი მარადიული ღმერთისთვის.’

მოწოდებული
მზადყოფნისთვის

მოწოდებული
იცხოვრე იმ ძალით, რომ უფლისთვის არაფერია გასაკირი.

ნაწილი მესამე

შეიყვარე მეტად

ჩაერთე

‘იესო ხაზმაგით აცხადებს, რომ უფლის და მოყვასის სიყვარულზე მნიშვნელოვანი არაფერია. შეუძლებელია გვიყვარდეს ღმერთი თუ არ გვიყვარს მოყვასი. მსახურებით ჩვენ უფლის ნებას აღვასრულებთ.’

მსახურება

- **მოწოდება მსახურებისკენ:** სხვების მსახურება უნდა იყოს ჩვენი მისიის პრიორიტეტი. უნდა დავაფასოთ ოფიცრობა, ადგილობრივი ოფიცრობა, ერთგულება და უმცროსი ჯარისკაცობა, გავაცნობიეროთ რომ ხსნის არმიის თანამშრომლები და მოხალისეები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჩვენი ამოცანების შესრულებაში.

ქრისტეს მიმდევრებისთვის ღმერთის და მოყვასის მსახურებას ალტერნატივა არ აქვს. გულწრფელი მსახურება ქრისტიანობის უტყუარობას ამტკიცებს. ის ირეკლავს იესოს გულს. მან თავის მოწაფეებს უთხრა „მე კი თქვენს შორის ვარ, როგორც მსახური“ (ლუკა 22:27). როგორც ყოვლისშემძლე უფალი - მათი უფალი და ბატონი- ის მსახურად ყოფნაში საწინააღმდეგოს ვერაფერს ხედავდა. მან გულწრფელი სიცხადით განუცხადა მათ, რომ ის იმიტომ არ მოსულა, რომ ემსახურონ, არამედ რათა თვითონ მოემსახუროს (მათე 20:28). ეს ისეთი გაკეთილი იყო, რომელსაც ხშირად იმეორებდა. მათთვის ის რთული გასაგები იყო. თუმცა ისინი ერთადერთები არ იყვნენ. დღესაც ბევრს უჭირს ამის გაგება.

სტანდარტულად პასუხისმგებელი პირი გასცემს ბრძანებას და ქვეშევრდგომები ემორჩილებიან. საგულისხმოა, რომ იესო ამას არ ეწინააღმდეგება, თუმცა მას უფრო მეტის თქმა სურს. მაშინვე, როგორც კი მაგალითი მისცა - ფეხთბანვით- მათ ასევე მიუთითა, რომ ასე მომსახურებოდნენ ერთმანეთს. „თქვენ მე მოძღვარსა და უფალს მიწოდებთ. მართალს ამბობთ, რადგან ვარ. ამიტომ, თუ მე, მოძღვარმა და უფალმა, დაგბანეთ ფეხები, თქვენც უნდა დაბანოთ ერთმანეთს ფეხები.მაგალითი მოგეცით..”(იოანე 13:13-15). ამას სწრაფადვე მოჰყვა მცნება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მსახურების დროს იესო ინარჩუნებს და იყენებს თავის უფლებამოსილებას. „გიყვარდეთ ერთმანეთი! როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი. იმით გაიგებს ყველა, რომ ჩემი მოწაფენი ხართ, თუ გეყვარებათ ერთმანეთი” (იოანე 13:34-35). ამით მისი და მისი მიმდევრების უტყუარობა კი არ შემცირებულა, არამედ უფრო მეტად გამყარდა.

მსახურებსთვის მზადყოფნა, მსახურების გაწევა, სხვისი საჭიროებების საკუთარ საჭიროებებზე წინ დაყენება არ ნიშნავს სისუსტეს[1]. მორჩილების არცოდნა- მსახურების არცოდნა-ნიშნავს სისუსტეს. „მიმდევრობა“ და „მსახურება“ ერთი და იგივეა, მორჩილებას კი განუყოფელი როლი აკისრია მსახურებაში- განსაკუთრებით ღმერთის მსახურებაში.

იესო საკუთარი სწავლების ცოცხალი მტკიცებულება იყო. იგი ფლობდა ძალას, რომელიც ყველა ძალას აღემატება, თუმცა მამის ნების მორჩილებას და მსახურებას მნიშვნელოვნად თვლიდა საკუთარი მისიის შესასრულებლად. თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, თითქოსდა იესო მხოლოდ რამოდენიმე წლის განმავლობაში იყო მსახური. მის ხასიათსა და გულშია, რომ გვემსახუროს და „აქ იყოს ჩვენთვის“, საჭიროების და თხოვნის შემთხვევაში გვაპატიოს და მადლით აგვავსოს.

სხვადასხვა ფორმით გვხვდება მსახურება. ამან თავიდანვე განსაზღვრა ხსნის არმიის მისია. ხსნის არმია არსებობს სხვების, და არა საკუთარი თავის მსახურებისთვის. სწორედ ეს ხედვა ჰქონდათ უილიამ და ქეთრინ ბუთებს და მოძრაობის საგალობლებიც გაჟღენთლი იყო მსახურების სულით. დევიზი „მსახურებისთვის დახსნილი“-მისი ინგლისური აბრევიატურა, ორი SS ('saved to serve') - წარმოადგენს უნიფორმის განუყოფელ ნაწილს. ეს არის მისიის მკაფიო განაცხადი. იგი განმარტავს ხსნის არმიელად ყოფნის არსს.

ასე, რომ გასაკვირი არ არის, რომ მსახურება არის ხსნის არმიის განმასხვავებელი ნიშანი. მსახურება ხდება განსხვავებული მეთოდებით, დაწყებული დაუცველ, ღარიბ, დაჩაგრულ, უსახლკაროდ და საკვების გარეშე დარჩენილთა საჭიროებების დაკმაყოფილებით და დამთავრებული სტატუსის არმქონე, სიყვარულის და იმედის გარეშე მყოფი ადამიანების გვერდში დგომით. მსახურებაში ასევე იგულისხმება კონკრეტულ საქმიანობაში ან აქტივობებში ჩართულობა. მაგალითად ვინც მონაწილეობას იღებს მუსიკალურ გაფორმებებში ან გუნდებში, მათთვის ეს ღვთის ერთგული მსახურების ნაწილია. მეგობრები, თანამშრომლები და მოხალისეები ასევე იღებენ მონაწილობას ამ პროცესში.

თუმცაღა მსახურება არ არის მხოლოდ ის თუ რას ვაკეთებთ, არამედ ისიც თუ როგორ ვაკეთებთ. უამრავი კეთილი საქმე გაფუჭებულა უმადურობით და ამპარტავნობით, ისევე როგორც უამრავ უიმედოდ დაწყებულ ურთიერთობებს ჰქონიათ კურთხეული გაგრძელება გულწრფელი და უტყუარი ზრუნვის გამო.

ლიდერები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ მსახურებაზე.[3] პეტრე თავისი დროის სულიერ ლიდერებს მოუწოდებდა არ გაბატონებულიყვნენ თავის სამწყსოზე (1 პეტრე 5:3). ისინი უნდა მომსახურებოდნენ სუფთა გულით და არ გამოეყენებინათ საკუთარი პოზიცია თავისი ღირსების ან სტატუსის ასამაღლებლად. არავინ იფიქროს თითქოს ვინმე ჩვენი მოვალეა გაწეული დახმარების გამო. სხვების მსახურება აღიარებისთვის ან ჯილდოს მიღების მიზნით არარის ჭეშმარიტი მსახურება. მას ეკარგება მნიშვნელობა და ასევე - სხვის ცხოვრებაში ცვლილებების შეტანის გამო - ბედნიერების განცდა, რადგან სწორედ ეს უნდა ვაკეთოთ.

იესომ თქვა, „უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდოდ გაეცით“ (მათე 10:8). რა თქმა უნდა ის თქვა რასაც ფიქრობდა. მან ასევე თქვა, რომ ღმერთის და მოყვასის სიყვარულზე მნიშვნელოვანი არაფერია. შეუძლებელია უფლის სიყვარული თუ არ გვიყვარს მოყვასი. ჩვენ აღვასრულებთ მის ნებას როცა ვემსახურებით.

გააზრება

‘ქრისტეს მიმდევრებისთვის ღმერთის და მოყვასის მსახურებას ალტერნატივა არ აქვს. გულწრფელი მსახურება ქრისტიანობის უტყუარობას ამტკიცებს.’

‘არ იფიქროთ, თითქოსდა იესო მხოლოდ რამოდენიმე წლის განმავლობაში იყო მსახური. მის ხასიათსა და გულშია, რომ გვემსახუროს და „აქ იყოს“ ჩვენთვის.’

‘დევიზი „მსახურებისთვის დახსნილი“-მისი ინგლისური აბრევიატურა, ორი SS (‘saved to serve’) - წარმოადგენს უნიფორმის განუყოფელ ნაწილს. ეს არის მისიის მკაფიო განაცხადი’

‘მსახურება არ არის მხოლოდ ის თუ რას ვაკეთებთ, არამედ ისიც, თუ როგორ ვაკეთებთ.’

მოწოდებული
დახსნილმსახურებისთვს

მოწოდებული
იყოს იესო შენთვის
მაგალითი მსახურებისას.

თაყვანისცემა

- **თაყვანისცემისკენ მოწოდება:** თაყვანისცემით უნდა ვიზეიმოთ უფლის გამომსყიდველი სიყვარული, მოვიძიოთ კულტურისთვის მისაღები ერთად განდიდებისა და მადლიერებისთვის გზა სხვეთან დასაახლოებლად და მისაღებად.

ღმერთს ჩვენი ცხოვრებით ვცემთ თაყვანს.[1] თავიდანვე მნიშვნელოვანია ამ ჭეშმარიტების აღიარება და მიღება (რომაელთა 12:1-2). ნებისმიერი სახის, ღია თუ ფორმალური თაყვანისცემა ფასს კარგავს თუ ჩვენი ცხოვრება - ყოველდღიური ცხოვრება - არ შეესაბამება ჩვენს დაპირებას ან ლოცვას. ეს ასევე ნიშნავს, რომ ჩვენი თაყვანისცემა - მისი არსი- არ მცირდება თუ საზოგადო შეკრებებში მონაწილეობას ვერ ვიღებთ.

2020-ში COVID-19-მა გააოცა მსოფლიო. ვაქცინის არ არსებობამ, ვირუსის გავრცელების სისწრაფემ და ჯანმრთელობაზე მისმა ნეგატიურმა გავლენამ გამოიწვია აკრძალვები და გადაადგილების შეზღუდვა მსოფლიო მაშტაბით. ბევრისთვის გასაკვირი აღმოჩნდა ეკლესიებში თაყვანისცემის აკრძალვა ვირუსის გავრცელების საშიშროების გამო.

მალე გაირკვა, რომ ეკლესიებში თაყვანისცემის უფლების დაჟინებული მოთხოვნა არამარტო უპასუხისმგებლო, არამედ დაუფიქრებელი და ეგოისტური იყო. COVID-19 გავრცელებასთან ერთად თაყვანისცემის ალტერნატიული გზებიც გამოჩნდა, ძირითადად სოციალური მედიის საშუალებით[2]. მთავარი იყო იმის გაგება, რომ თაყვანისცემისთვის და ლოცვისთვის თურმე აუცილებელი არ ყოფილა ეკლესიის შენობა. ეკლესია უფრო მეტია ვიდრე აგური და ცემენტი. ის სულია და მას ვერავინ შეაკავებს. იესოს საუბარი სამარიელ ქალთა გაცოცხლდა ჩვენთვის. „ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემლებიც სულითა და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს“ (იოანე 4:24)

საჯარო თაყვანისცემა სხვადასხვა ფორმით გვხვდება. იგი მრავალფეროვანია - ის რაც გვეხმარება იმაში, რომ ვიზეიმოთ და მივუახლოვდეთ ღმერთს - და რას მოვიაზრებთ მის არსში. თაყვანისცემის ხსნის არმიული გაგება მარტივია. ეს არის გულწრფელი გული და ღმერთის წინაშე გულღიად დგომა.

როგორც წესი, საჯარო თაყვანისცემა მოიცავს ლოცვას, გალობას, წმინდა წერილის კითხვას, სხვა სიმღერებს, ქადაგებას, დამოწმებას მადლზე და ღმერთის საქმეებზე ან ისეთ განსაკუთრებული ღონისძიებები, როგორიცაა წევრების აღთმისა და მიძღვნის ცერემონიები. ხსნის არმიელები საჯარო თაყვანისცემას „შეხვედრებს“ უწოდებენ, რადგან სწორედ ერთობა და

მეგობრობაა მისი არსი. არმიელების შეხვედრა ღმერთთან და ერთმანეთთან არის თაყვანისცემის რეალური ფესვები.

ხანდახან თაყვანისცემა მიიჩნევა ცალმხრივ ურთიერთობად - ხალხი იკრიბება, ეძიებენ ღმერთს , შემდეგ აღიარებენ მის ყოვლისმცოდნეობას პატივით და თაყვანისცემით. თუმცა იგი უფრო მეტია ხსნის არმიული გაგებით. მიუხედავად იმისა, რომ თაყვანისცემის მიმართ ზოგიერთი მიდგომა გვაფიქრებინებს, რომ უნდა 'დავივიწყოთ საკუთარი თავი და ყურადღება გადავიტანოთ მხოლოდ ღმერთზე', თუმცა იგი ზუსტად არ შეესაბამება 'შეხვედრის' ხსნისარმისეულ გაგებას. უფალთან ურთიერთობა ინტერაქტიულია, ეს არის დრო, როცა თაყვანისმცემელი ეძიებს, რომ ღმერთმა გამოიკვლიოს მისი გული და გაუძღვეს წინ. ქათერინა ბიორდის სიმღერა „უფლის სული" კარგად აღწერს თაყვანისცემის არსს. მეოთხე სტროფი ასე იწყება, „უფალო ღმერთო, მოვედი, ჩემში ცხოვრება იღვიძებს; როგორიც არ უნდა ვიყო, ყველაფერი მომაქვს შენს წინაშე." აქ კომუნიკაცია ორმხრივია-მიღებულია კურთხევა და ძალა.

მას შემდეგ, როცა მსახურებები ისევ განახლდა, მაგრამ გალობა ჯერ კიდევ არ იყო დაშვებული – ზოგიერთ ეკლესიაში და ისიც ძალიან მცირე რაოდენობის წევრებთან- მოხდა მისი ღირებულების გადახედვა. რატომ ვმღერით? იმიტომ რომ ეს ეკლესიის ერთობლივი აქტივობაა? ერთი და იგივე სიტყვებით ვლოცულობთ და მივმართავთ ღმერთს? ერთდროულად ვდებთ პირობას და გამოვხატავთ მადლიერებას? თუ უბრალოდ ცათა სასუფევლის ნაწილნი ვართ ერთად რომელიც ხელშესახები ხდება გალობის დროს? ეს ყველაფერი ფასეულია.

თუმცა, რადგან ყველანი უნიკალურები ვართ, თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ჩვენი საკუთარი მეთოდი, რომელიც გვეხმარება ღმერთთან დაახლოებაში, ისევე როგორც არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება თუ სხვას ჩვენთვის მიუღებელი ცვლილებების/დამატებების შეტანა სურს. ეს რეალური პრობლემებია და განსხვავებები ყოველთვის არ ნიშნავს უხერხულობის შემოტანის სურვილს. ამ დროს მნიშვნელოვანია მოსმენის და გაგების სურვილი, ემპათია სხვისი სულიერი საჭიროებების მიმართ და ჩართულობა. მადლი უნდა იზრდებოდეს ეგოს შემცირებით.

ის რაც ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვჩეს არის იმ გზების გამონახვა, რისი საშუალებითაც ახლადმოსული ან შეშინებული დამსწრე ისე იგრძნობს თავს „როგორც სახლში". ბევრია ისეთი, რომელმაც მხოლოდ ერთხელ შემოდგა ფეხი ჩვენს ეკლესიაში, რადგან მათთვის ძალიან დიდი ნაპრალია ჩვენს და მათ ცხოვრებას შორის. რელიგიური ან მხოლოდ ჩვენთვის ნაცნობი ტერმინების გადაჭარბებული გამოყენება გვაშორებს ახალმოსულებთან. მრავალ სხვა მოსაზრებასთან ერთად, საკუთარი თავი შეგნებულად უნდა წარმოვიდგინოთ მათ ადგილას მანამ ეს ჩვენთვის ბუნებრივი არ გახდება.

და ბოლოს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანთა უმეტესობა უერთდება ან ტოვებს ქრისტიანულ საკრებულოს მეგობრობის - და არა დოქტრინების - გამო. გულწრფელი დახვედრა ჩვენს ხელშია, რადგან ჭეშმარიტი თაყვანისცემა გამოიხატება ქმედებაში.

გააზრება

‘ნებისმიერი სახის, ღია თუ ფორმალური თაყვანისცემა ფასს კარგავს თუ ჩვენი ცხოვრება - ყოველდღიური ცხოვრება - არ შეესაბამება ჩვენს დაპირებას ან ლოცვას.’

‘თაყვანისცემის ხსნის არმიული გაგება მარტივია. ეს არის გულწრფელი გული და ღმერთის წინაშე გულღიად დგომა.’

‘უფალთან ურთიერთობა ინტერაქტიულია, როცა თაყვანისმცემელი ეძიებს, რომ ღმერთმა გამოიკვლიოს მისი გული და გაუძღვეს წინ.’

‘რადგან ყველანი უნიკალურები ვართ, ამიტომ თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ჩვენი საკუთარი მეთოდი, რომელიც გვეხმარება ღმერთთან დაახლოებაში.’

მიწოდება

გულწრფელობისთვის

მიწოდება

თაყვანი სცე ღმერთს საკუთარი ცხოვრებით.

ნდობა

- **სახარების ნდობისკენ მოწოდება:** როცა ვახარებთ უფლის სიტყვას, ჩვენ უნდა გვჯეროდეს მისი ხსნის და ტრანსფორმირების ძალა. სულიწმინდის ძალით ხდება ადამიანის განთავისუფლება ყველაფრისგან, რაც მას ხელს უშლის ღვთის მიერ ბოძებული პოტენციალის გამოვლენაში.

სახარებისადმი ნდობა მოდის იმის ცოდნით, რომ ის სასარგებლოა. ზოგისთვის ეს ნიშნავს ტრანსფორმირებულ ცხოვრებას - ნებისმიერი არასასურველი გამოცდილებიდან დაწყებული ღმერთის ძალის გამოვლენით დამთავრებული, რაც ახალ პიროვნებად გვაქცევს. ცვლილება შესაძლოა იყოს დრამატული, რომელიც თავისთავად საუკეთესო მტკიცებულებაა. სხვებისთვის სახარება მთელი მათი ცხოვრებაა ბავშვობიდან მოყოლებული, სადაც უფლის თანდასწრება და სიყვარული მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ითვლებოდა. წლების მანძილზე ნდობის შენარჩუნება საუკეთესო დასტურია იმისა, რომ იესო თავისი სიტყვის ერთგულია.

რწმენისთვის პირადი გამოცდილება მნიშვნელოვანია, მაგრამ როცა იესოს სწავლება გამოკვლეული, შესწავლილი და პრაქტიკაში გატარებულია, მას არაფერი შეედრება. ფაქტია იესო ყოველთვის გვთავაზობს რაღაც ახალს. მისი სიტყვა და საქმე ერთმანეთს ემთხვევა. ისინი ერთმანეთს ავსებენ. ცხოვრებაში იმაზე უკეთესი სტანდარტები არ არსებობს, რასაც იესოში ვხედავთ. ის განსაკუთრებულია იმით, რომ ხალხს საკუთარი თავის მიმართ რწმენას უღვიძებს უკეთესი პოტენციალის და უკეთესი მომავლის მიმართ.

როდესაც იესომ მატყუარა მებაჟეს, ზაქეს, შესთავაზა დროის ერთად გატარება მის სახლში, ლუკა წერს, რომ ზაქე, რომელიც მანამდე ხეზე იჯდა, „სწრაფად ჩამოვიდა“ (ლუკა 19:6). ამ ქმედებით მან განაცხადა, რომ იგი ელოდა ვინმეს, ვინც მას ენდობოდა იმაში, რომ მას ჰქონდა გამხდარიყო უკეთესი და გულწრფელი, რომელიც ნამდვილად დაიმსახურებდა პატივისცემას. იესოს არასდროს დაუმცირებია ვინმე საკუთარი თავის წარმოსაჩენად. იგი ყველას ეხმარებოდა (და ეხმარება) ღირსების ამაღლებაში, თვითდაჯერებაში, რადგან იესო ენდობა მათ. ქრისტე გასცემს და ავლენს სანდოობას სახარების მეშვეობით. ჩვენც ასევე უნდა მოვიქცეთ.

სახარება იმდენად სრულყოფილი და ყოვლისმომცველია, რომ საჭირო არ არის იმის შელამაზება ან გაზვიადება თუ რა გააკეთა ღმერთმა, რას გააკეთებს ან რა აღგვითქვა. ჩვენი გულმოდგინება დავეხმაროთ ადამიანებს რწმენის პოვნაში ხანდახან გვავიწყებს, რომ ცხოვრების რეალობა მკვეთრად განსხვავდება უფლის აღთქმებისაგან. მსგავსი შეცდომები ძირს უთხრის სახარების სანდოობას. ამისგან უნდა დავიცვათ თავი, ისევე როგორც ემოციური მანიპულაციისგან.

საგულისხმოა, რომ სახარების ძალა ვლინდება გასაჭირში. როცა ვაღიარებთ, რომ იესო იტანჯა და იტანჯება ჩვენთვის აღმოვაჩენთ, რომ ღმერთი არ არის უგრძნობი, არ დგას ჩვენგან შორს და განცალკევებით.[1] ის გვიცნობს და ჩვენს გვერდითაა გამოწვევებისა და სირთულეების დროს, ის გვაძლევს ძალას და იმედს. სახარების საშუალებით იესო არ გვპირდება არც ხანგრძლივ სიცოცხლეს და არც უპრობლემო ცხოვრებას (იოანე 16:33). იესო გვპირდება მარადიულ სიცოცხლეს (იოანე 3:16) - ღირებულს, რაც იწყება აქ და ახლა -მისი ძალით და თანდასწრებით ყველა სიტუაციაში. არ არსებობს არცერთი სიტუაცია და მდგომარეობა, სადაც იესოს არ შეუძლია ყოფნა.

ახლა კი სახარების არსს - უფლის სიყვარულს - მივადექით. სახარება ნიშნავს „კარგი ამბის ხარებას“. მას გაშლილი ხელებით უნდა შევხვდეთ. ქრისტიანებს ხშირად უჭირთ იმის გამოხატვა თუ რამდენად ხანგრძლივი და ყოვლისმომცველია უფლის სიყვარული. პავლე ლოცულობდა, რომ მისი ეპოქის ქრისტიანებს „შესძლებოდათ“ თუ რა “განი და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე“ ჰქონდა ღმერთის სიყვარულს (ეფესელთა 3:18). საკმაოდ ფართოდ გავრცელებული სიტყვები „შესანიშნავი“, „გასაოცარი“ და „დაუჯერებელი“ აჩვენებს თანამედროვე ქრისტიანები როგორ კარგავენ სიტყვებს, რომლებსაც შეუძლიათ ღმერთის სიყვარულის სიღრმეების გადმოცემა ან ადეკვატური აღწერა. თუმცა ის ფაქტი, რომ ღმერთი იღებს ინიციატივას, რომ ჩვენთან ჰქონდეს სწორი ურთიერთობები თავისთავად ბევრ რამეს ამბობს, იმის მიუხედავად ვპოულოთ თუ არა სწორ სიტყვებს ამის აღსაწერად.

იესო - ღმერთი ადამიანის სხეულში- ზეციდან მოვიდა დედამიწაზე ჩვენთან შესახვედრად, ჩვენს გვერდით საცხოვრებლად და ჩვენზე საზრუნად. იგი ტანჯეს, შეურაცხყვეს, არასწორად მიიღეს, დაამახინჯეს მისი ნათქვამი, დასცინოდნენ, ამასხარავებდნენ, მასზე იძალადეს, იგი მიატოვეს უახლოესმა მოწაფეებმა და მან გადაიტანა ყველაზე რთული ადამიანური ტრამვა - უფლისგან გაუცხოება (მათე 27:46). თუმცა ამან არ შეაჩერა. მისი სიყვარული იყო და არის სრული თავგანწირვა. მან ყველაფერი გააკეთა რაც მის ძალებს აღემატებოდა - მანამ, ვიდრე ჩვენ მას ავირჩევდით ჩვენს უფლად - რათა ეჩვენებინა თუ რამდენად ძვირფასნი ვართ მისთვის. თუმცა ხანდახან ისე თავდაჭერილად ვსაუბრობთ სახარებაზე, თითქოს ღმერთს ჩვენი გამოჭერა სურს, რითაც ვაუფასურებთ მისი სიყვარულის სიღრმეებს.

თუ ჩვენ გვსურს ვენდოთ სახარებას, მაშინ უნდა გავარკვიოთ თუ რამდენად მნიშვნელოვანი ვართ ჩვენ მისთვის. ადრეულ წლებში ხსნის არმიელები ძალიან დიდი ნდობით გამოირჩეოდნენ. ამის არეკვლა ხდებოდა საგალობლებში, მარშირებებში, დამოწმებებში, სიხარულში. ებრაელებს მოუწოდებენ, რომ ‘არ მიატოვებინათ’ ნდონა (10:35). უკვე დროა აღვადგინოთ საკუთარიც.

გააზრება

‘იესო განსაკუთრებულია იმით, რომ ხალხს საკუთარი თავის მიმართ რწმენას უღვიძებს უკეთესი პოტენციალის და უკეთესი მომავლის მიმართ’

‘საჭირო არ არის იმის შელამაზება ან გაზვიადება თუ რა გააკეთა ღმერთმა, რას გააკეთებს ან რა აღგვითქვა.’

‘ხანდახან ისე თავდაჭერილად ვსაუბრობთ სახარებაზე, თითქოს ღმერთს ჩვენი გამოჭერა სურს, რითაც ვაუფასურებთ მისი სიყვარულის სიღრმეებს.’

‘ადრეულ წლებში ხსნის არმიელები ძალიან დიდი ნდობით გამოირჩეოდნენ. ამის არეკვლა ხდებოდა საგალობლებში, მარშირებებში, დამოწმებებში, სიხარულში.’

მოწოდება
თავდაჯერებულობისთვის

მოწოდებული
აღავსე ნდობით ადამიანები, რომ იესომ შეძლოს მათი ცხოვრების შეცვლა.

ნაწილი მეოთხე

მისდიე უფრო ახლოს

აიღე პასუხისმგებლობა

‘რაც უფრო ახლოს ვართ იესოსთან, მით უფრო უკეთ ვირეკლავთ იესოს მისიას დამცირებულთა, გარიყულთა ან უგულებელყოფილთა დასაცავად. კაენმა ღმერთს ჰკითხა „განა ჩემი ძმის დარაჯი ვარ?“, ღმერთის პასუხი იყო - „კი“.

ყველა თაობის წარმოჩენა და ზრუნვა

- **ყველა თაობის წარმოჩენის და ზრუნვისკენ მოწოდება:** ჩვენ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ბავშვებზე, მოზარდებზე და დამწყებ ლიდერებზე - რათა აღვჭურვოთ, გავზარდოთ, გავამხნევოთ და დავიმოწაფოთ ახლანდელი და მომავალი ხსნის არმიელები.

გასულ საუკუნეებთან შედარებით სიცოცხლის ხანგრძლივობა იმდენად გაიზარდა, რომ უფრო მეტ თაობას უწევს ერთდროულად ცხოვრება ვიდრე ოდესმე.[1] სიცოცხლის უნარიანობის გახანგრძლივების მიუხედავად, ცვლილებები იმდენად სწრაფად ხდება ცხოვრების ყველა სფეროში, რომ ისინიც კი, ვინც ხელს უწყობს ცვლილებებს, ვერ ახერხებენ ამით გამოწვეული ზემოქმედების და შედეგებისთვის ფეხდაფეხ მიყოლას.[2] ეს გავლენას ახდენს ყველა თაობაზე.

თაობებს შორის პრობლემებს, რომელიც ყოველთვის არსებობდა ახლა დაემატა სრულიად ახალი რამ, რომელიც მოითხოვს სხვა ადმაინების შიშების და იმდგაცრუებებთან სიფრთხილით მიდგომასა და ახლებურად გაგებას. დღესდღეობით ამ ყველაფერს ემატება COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვები და არეულობა, რომელიც უფრო მეტად კომპლექსური გამოწვევების წინაშე გვაყენებს. ასეთ დროს ახალგაზრდების მომავალი დაუცველი ჩანს, ვირუსის გამო კი ურთიერთობების აწყობა და ცხოვრების პარტნიორის არჩევა საკმაოდ შეზღუდულ გარემოში ხდება. უფროსი თაობა - ჯანმრთელობის მხრივ ყველაზე დაუცველი თაობა - დამოკიდებული ხდება ახალგაზრდების სიბრძნესა და გამჭრიახობაზე იმ იმედით, რომ ისინი პასუხისმგებლობით მიუდგებიან სიტუაციას და ვირუსის გავრცელებას არ შეუწყობენ ხელს. როლები შეიცვალა. საშუალო ასაკის მოსახლეობა კი ყველფერზე ზრუნავს[3]-ბავშვებზე, მოხუც მშობლებზე, კარიერაზე და იმაზე თუ როგორ გადაანაწილონ რესურსები თაობებს შორის ყველაზე უარეს ეკონომიურ სიტუაციაში.

თუმცა ყველა თაობას შეუძლია თავისი, თუნდაც მცირე წვლილის შეტანა სხვის ცხოვრებაში. გამოწვევად რჩება მხოლოდ გაცემისთვის და მხარდაჭერისთვის მზადყოფნა.

ბოლო წლებში თვით ეკლესია აღმოჩნდა თაობათაშორის გამოწვევების წინაშე. ახალგაზრდები თავს ხშირად ცალკე და არასაკმარისად მიღებულად გრძნობენ ლიდერული პოზიციებისთვის. მათ სურთ ავთენტურობა და აღიარება, თუმცა უჭირთ საკუთარი ნაკლის დანახვა, ან უჭირთ იმის შეფასება თუ რას სთხოვენ, ან ითხოვენ მათგან. ამის საპირწონედ, ხანდაზმული თაობა ხშირად თავს მიუღებლად გრძნობდნენ - თავისი თემიდან გაძევებულად - იმათ მიერ, ვინც ცდილობს 'ცვლილებების' შემოტანას ცვლილებებისთვის და არა ისეთი პროგრამების განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობდა ყველა თაობის ჩართულობას. თუმცა შესაძლოა ისეთი სივრცის მოძებნა, სადაც ყველა მხარდამხარ მუშაობს სხვების საკეთილდღეოდ საკუთარი ნიჭების ეფექტურად გამოყენების გზით. სასწაულების მოხდენა შეუძლია სულგრძელობას, ქრისტიანულ მოთმინებას, სიმშვიდეს, სიკეთეს და სიყვარულს.

ხსნის არმია დაცული არ არის გამოწვევებისგან. ზოგან მას ხელოვნურად ქმნიდნენ, მაგრამ ყოველთვის არ ხდებოდა პრობლემების მოგვარება, რამაც დაგვაკარგინა შესაძლებლობა და რასაც ამაოდ შეეწირა ხალხი - ახალგაზრდაც და ხანდაზმულიც.

წლების მანძილზე უმცროსი ჯარისკაცობა[4] და ხსნის არიის ცხოვრების უკვე დანერგილი სხვადასხვა გზები მნიშვნელოვანი იყო ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის. მან შემოიტანა ერთობის, იდენტობის და მოვალეობის განცდა. ბოლო ათწლეულებში ამ მიმართულებით დაუდევარმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ის, რომ უფრო და უფრო მცირდებოდა უმცროს და უფროს ჯარისკაცად გახდომის - და შესაბამისად, ოფიცრობის-მსურველთა რაოდენობა მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში.

სავალდებულო მოწოდების და პრიორიტეტული საევანგელიზაციო კამპანიებთან ერთად, აგდებული დამოკიდებულება იყო ეგრეთ წოდებული „განახლების მსახურების“ განვითარების მიმართ, რის შედეგადაც უგულებელყოფილი იქნა იმ ადამიანების სულიერ ზრდაზე ზრუნვა, ვისაც ეს სჭირდებოდა. მისიასა და მსახურებაში ბალანსის დასაცავად აუცილებელია დრო და ენერგია ჩაიდოს განათლებაში და პასტორულ ზრუნვაში, ასევე მნიშვნელოვანია სხვისი შრომის დაფასება. არმიის კარგად ნაცნობ სამივე პრიორიტეტს - სულების დახსნას, წმინდანების ზრდას და ტანჯულთა დახმარებას -უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. თუ „წმინდანების ზრდაზე“ თვალებს ვხუჭავთ, მაშინ ინფრასტრუქტურა დაშლისთვისაა განწირული.

ზოგი კულტურა უფრო მეტ პატივისცემას გამოხატავს ხანდაზმულთა მიმართ სხვებთან შედარებით, მაგრამ უამრავ ქვეყანაში, სადაც მრავალჭირნახულ ხანდაზმულთა მარგინალიზება ხდება, საზოგადოებას ხელიდან ეცლება არა მხოლოდ კარგი შესაძლებლობები, არამედ კარგავს მხარში მდგომ, ურთიერთგამამდიდრებელ ურთიერთობებს. უფროს თაობას შეუძლია დრო დაუთმოს ახალგაზრდა თაობის სულიერ და სოციალურ განათლებაზე ზრუნვას. ყველა შესაძლებლობას ვერ ვამჩნევთ. უამრავი მათგანის გამოყენება კი აუცილებელია.

შეხვედრებში მონაწილების მიღება იყო ხსნის არმიის განმასხვავებელი ნიშანი პირველივე დღეებიდან. იგი ბადებს ნდობას და ხელს უწყობს ახალგაზრდებში ლიდერული თვისებების განვითარებას და თვითშეფასების ამაღლებას. ეს არ უნდა ვუგულებელყოთ. იგი ხელს უწყობს ერთობის შეგრძნებას და ბადებს მიძღვნის სურვილს. რთული არ არის ‘გარიყული’ და ‘ახალი’ ადამიანისთვის ღირსების გრძნობის ამაღლება, თუმცა ამის გაცნობიერების და ინიციატივის აღების ნაკლებობას ხშირად განვიცდით.

ხსნის არმია ამაყობს იმით, რომ აქ ყველასთვის არის ადგილი. იგი იცავს თავის რეპუტაციას, რათა სადაც მას გაიხსენებენ, უნდა იცოდნენ, რომ არმიისთვის ღვთის მიერ ბოძებული პასუხისმგებლობა არის სხვებისთვის უფლის სამეფო გაცნობა. COVID-19 ახალი და რთული გამოწვევების წინაშე გვაყენებს როგორც ახალგაზრდებს, ასევე ხანდაზმულ თაობას, თუმცა ასევე ჩნდება სრულიად ახალი საჭიროებები და შესაძლებლობები ორივე მხარისთვის, რომელიც განსაზღვრავს ინოვაციურ გზებს ჩვენი მისიის უფრო მეტი ეფექტიანობისთვის.

გააზრება

‘ყველა თაობას შეუძლია თავისი, თუნდაც მცირე წვლილის შეტანა სხვის ცხოვრებაში. გამოწვევად რჩება მხოლოდ გაცემისთვის და მხარდაჭერისთვის მზადყოფნა..’

‘ახალგაზრდები თავს ხშირად ცალკე და არასაკმარისად მიღებულად გრძნობდნენ ლიდერული პოზიციებისთვის. მათ სურთ ავთენტურობა და აღიარება.’

‘უფროს თაობას შეუძლია დრო დაუთმოს ახალგაზრდა თაობის სულიერ და სოციალურ განათლებაზე ზრუნვას. ყველა შესაძლებლობას ვერ ვამჩნევთ..’

‘თუ „წმინდანების ზრდაზე“ თვალებს ვხუჭავთ, მაშინ ინფრასტრუქტურა დაშლისთვისაა განწირული.’

გაამხნევეთ ყველა თაობა ითანამშრომლონ სიკეთის კეთებაში.

ღირებული თანაგრძნობა

- **ღირებული თანაგრძნობისკენ მოწოდება:** უნდა დავიცვათ სხვები, ვეძებოთ სამართლიანობა, ვიყოთ გულუხვი და მივიღოთ მონაწილეობა გამომსყიდველ აქტივობებში.

როცა ვთანხმდებით იესოს მოწოდებას, ჩვენ ვხდებით ღირებული/ფასეული თანაგრძნობის ყველაზე ნათელი მაგალითის ნაწილი. სახარება სავსეა იესოს მიერ თანაგრძნობის გამოხატვის სანიმუშო მოვლენებით, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი - კეთროვანის ხელით შეხება და განკურნება, მიცვალებულის გაცოცხლება, სმენის, მხედველობის და მოძრაობის უნარის დაბრუნება; იმედის მიტანა იმ ადამიანებამდე, რომლებმაც სამუდამოდ დაკარგეს ჯანმრთელობა.[1]

იესოსთვის ჩვეულებრივი იყო დახმარების ხელი გაეწოდა სოციალურად დაუცველთა და გარიყულთათვის. ის ამ პროცესში სრულად იყო ჩართული და ამას მხოლოდ სხვებისთვის სამაგალითო ლექციის ჩასატარებლად არ აკეთებდა. ამით იგი მიგვითითებდა ღმერთის გულზე. მისმა სიყვარულმა - რომელიც იცავდა მათ, ვისაც არავინ უსმენდა, კიცხავდა გულგრილს, რისკის ქვეშ აყენებდა საკუთარ სახელს და რეპუტაციას - დაგვანახა ღმერთი, რომელსაც სურს იცნობდნენ მისი ღირებული/ფასეული თანაგრძნობის უნარით.

მის მიერ დაცული 'მრუშობაზე წასწრებული' (იოანე 8:2-11) ცოდვილი დედაკაცის მიერ გამოხატული მადლიერება ექსტრავაგენტული - ზოგისთვის კი საკმაოდ სკანდალური - გზით (ლუკა 7:36-50) და მისი მზადყოფნა გაეკიცხა რელიგიური ლიდერები და სხვა გულგრილი მაყურებლები (მათე 23:1-36), ნიშნავდა იმ ადამიანების მხარდაჭერის დაკარგვას, ვისაც ძალაუფლება გააჩნდათ (მათე 21:45-46). მაგრამ მისი მონაწილეობა და თანაგრძნობა ისეთების მიმართ როგორიცაა 'თავისუფალი მორალის' სამარიელი ქალი (იოანე 4:4-30), მდიდარი, ქურდი ზაქე (ლუკა 19:1-10) და ბრმა ბარტიმეოსი (მარკოზი 10:46-52), რომელსაც ბრბო აჩუმებდა ამტკიცებს, რომ იესო კარგს ხედავდა მათში ვისაც უღირსად მიიჩნევდნენ და იგი მზად იყო მათი მდგომარეობა საკუთარ რეპუტაციაზე წინ დაეყენებინა.

ეს ის გაკვეთილებია, რომელიც 21-ე საუკუნის ეკლესიას საჭიროა ახსოვდეს. არმიამ იცის, რომ სწორედ ამ გამოწვევებისთვის შეიქმნა და არა პოპულარობისთვის. ნებისმიერ ჰუმანიტარულ ორგანიზაციას ადარდებს ის თუ როგორ აღიქვამენ მას. გარკვეულმა ჩართულობებმა შესაძლოა გამოიწვიოს მხარდამჭერთა დანაკარგი. გაუგებრობებს და განზრახ შეცდომაში შეყვანას მუდამ მოყვება გართულებები. იესოსთვის ეს ცნობილია. ჩვენ მივყვებით მას და მისგან ვიღებთ მაგალითს.

იესო თავის მოწაფეებს ასწავლიდა, რომ სიყვარულს თავისი საფასური აქვს და ამას ასწავლიდა დამოწაფების კონტექსტში (ლუკა 9:23-25 and 57-62).[2] საგულისხმოა, რომ მოწაფეები იესოთი აფასებდნენ სიყვარულს - მის ყოველდიურობაში და განსაკუთრებით მაშინ, როცა ჯვარზე გაკრული ლოცულობდა და მისი მკვლელების პატიებას სთხოვდა მამას (ლუკა 23:34). რთულია მსგავსი სიყვარულის მიბაძვა. ჩვენ გაოცებულნი ვართ თუ რა ძალით, ხასიათის სიმტკიცით და სრული შეუპოვრობით სურს მიზნის მიღწევა. მასთან შედარებით თავს ძალიან შეუფერებლად ვგრძნობთ და ვეჭიდებით მის შეუფასებელ სიყვარულს, რომელიც გვაძლევს ძალას იესოსთან ურთიერთობისას. ფაქტია, რომ არმიელის მიერ „არასასურველი ადამიანისკენ“ გაწვდილი დახმარების ხელი შესაძლოა ‘არასასურველად’ იქნას მიღებული.[3] გაჭირვებაში მყოფი ადამიანი შესაძლოა არ წამოვიდეს თანამშრომლობაზე, იყვნენ ცინიკურები, კრიტიკულები და თავიდან მოგვიშორონ. ამას როგორც წესი მიზეზი აქვს. შესაძლოა იქ არ დავეხმარეთ სადაც სჭირდებოდა, ან შეუძლებელია მათი ცხოვრების შეცვლა ტკივილზე გამავალი ძვირადღირებული სიყვარულის გარეშე.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ დღეს მსოფლიო უდიდეს გაჭირვებაშია და ძალზე სჭირდება ძვირფასი და ღირებული თანაგრძნობა, თუმცა მათ შორის ყველაზე გაჭირვებულს ყველაზე იშვიათად ექცევა ღირსეული ყურადღება. ზოგიერთ კულტურაში ჯერ კიდევ ზემოდან უყურებენ გაჭირვებულს მაშინ, როცა ვისაც მათი დახმარების საშუალება აქვს, ამის მიზეზს ვერ ხედავს. მათ ნაკლებად აინტერესებთ და შესაძლოა ნაკლებად ესმით მათი, ვინც სასოწარკვეთილია. იაფი გამოსავლის და პრობლემების ადვილად მოგვარების გზა არის დახმარების დამახინჯებული გაგება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ვერ აგვარებს პრობლემის მთავარ წყაროს/არსს. იგი ვერ ჩაანაცვლებს ღირებულ თანაგრძნობას, რომელშიც ფასია გადახდილი. ის მოითხოვს ძალისხმევას, დროს, ენერგიას, ხშირ შემთხვევაში მსხვერპლს, რომელიც შეწებებულია სიყვარულით და გამოხატულია მისი ყველაზე პრაქტიკული ფორმით... და ხშირ შემთხვევაში იგი დაუფასებელია.

პავლე მოუწოდებს კორინთელებს, რომ არ დაიღალნენ სიკეთის კეთებით, რადგან თანაგრძნობამ შეიძლება გადაგვღალოს (გალატელთა 6:9). იესოს შეეძლო ბალანსის დაცვა გააზრებულ ზრუნვას, დასვენებას და განახლებას შორის (მარკოზი 1:35) - და იგივეს გვირჩევს ჩვენც (მათე 11:28-30).

ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების კიდევ ერთი ცდუნება-რომელშიც უნებურად ძალიან ადვილად შეიძლება აღმოჩნდნენ -არის პროცედურების და ადმინისტრირების მორგება საკუთარ საჭიროებებზე და არა მათ საჭიროებებზე, ვისაც ემსახურებიან. მსგავსი სისტემები კიდევ ერთი დაბრკოლება და იმედგაცრუება ხდება გაჭირვებულისთვის. ეს რეალური ბარიერია მათთვის ვისაც სიმარტივე და გაგება სჭირდება - ხშირად ადმინისტრატორები ვერ ხვდებიან რა სირთულეების შექმნას უწყობენ ხელს.

ჩვენ მოწოდებულნი ვართ დაუცველთა დასაცავად, სამართლიანობის მცველად[4], სულგრძელობისთვის და დაკარგულთა დასახსნელად. იესოსთან რაც უფრო

ახლოს დავჩებით უკეთ ავირეკლავთ მის მისიას დამცირებულთა, გარიყულთა ან უგულებელყოფილთა დასაცავად. კაენმა ღმერთს ჰკითხა „განა ჩემი ძმის დარაჯი ვარ?“, ღმერთის პასუხი იყო „კი“.

გააზრება

‘როცა ვთანხმდებით იესოს მოწოდებას, ჩვენ ვხდებით ფასეული/ღირებული თანაგრძნობის ყველაზე ნათელი მაგალითის ნაწილი.’

‘გაჭირვებაში მყოფი ადამიანი შესაძლოა არ წამოვიდეს თანამშრომლობაზე, იყვნენ ცინიკურები, კრიტიკულები და თავიდან მოგვიშორონ. ამას როგორც წესი მიზეზი აქვს.’

‘იაფი გამოსავლის და პრობლემების ადვილად მოგვარების გზა არის დახმარების დამახინჯებული გაგება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ვერ აგვარებს პრობლემის მთავარ წყაროს/არსს..’

‘ჩვენ მოწოდებულნი ვართ დაუცველთა დასაცავად, სამართლიანობის მცველად, სულგრძელობისთვის და დაკარგულთა დასახსნელად. იესოსთან რაც უფრო ახლოს დავჩებით უკეთ ავირეკლავთ მის მისიას დამცირებულთა, გარიყულთა ან უგულებელყოფილთა დასაცავად.’

მიწოდება
გამღებლობაში

მიწოდება
აჩვენე სიყვარული მოქმედებაში იესოს მსგავსად.

ინკლუზიურობა

- **ინკლუზიურობისკენ მოწოდება:** თქმაც კი არ უნდა გვჭირდებოდეს, რომ ყველა ადამიანს უნდა მოვექცეთ პატივით და თანაგრძნობით, გვახსოვდეს ჩვენი მისია და დახმარების ხელი გავუწოდოთ ყველას დისკრიმინაციის გარეშე.

ტერმინ 'ჩვენ'-ს გვერდით ყოველთვის არსებობენ 'ისინი'. ეს გარდაუვალია. ავტომატურად ხდება. ეს იდენტობასთან არსებობით არის დაკავშირებული, რომელიც ყველას გვაქვს. ხსნის არმიას აქვს ძალიან ძლიერი იდენტობა, როგორც ეკლესიის შიგნით, ასევე მის გარეთ. მისი უნიფორმა საკმაოდ თვალშისაცემია, ისევე როგორც ერთნაირი დროშა, მარშირება და აღლუმები მთელს მსოფლიოში. ცნობადობა და მსახურებისთვის მუდამ მზადყოფნა არის სტრატეგიის ნაწილი. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის.

მაგრამ ტერმინები „ჩვენ“ და „ისინი“ასევე ხაზს უსვამს დაყოფას, ქმნის ბარიერებს და იწვევს 'სხვების' გარიყვას. ეს შესაძლოა მოხდეს კორპუსში, სადაც თაყვანისცემის ჯგუფში შესაძლოა ჩამოყალიბდეს მათი (ღირსეული და ჯანსაღი) ურთიერთობები და თემის დანარჩენ წევრებს უნებურად გამოეყვნენ. ასე არ იყო დაგეგმილი, თუმცა ექსკლუზიურობამ შესაძლოა ყოველთვის იჩინოს თავი. იგივე საფრთხის წინაშე დგებიან სხვა გუნდებიც და კლუბებიც, სადაც ოფიციალური გაწევრიანება ხდება. ასეთი გზით ადვილად აღმოცენდებიან „ისინი“ და „ჩვენ“, ახალგაზრდები და მოხუცები, ქალები და კაცები, ფერადკანიანები და თეთრკანიანები. არც თუ ისე ადვილად შესამჩნევი სხვა სახის დაყოფებიც არსებობს: - მდიდარი და ღარიბი, ტრადიციული და არატრადიციული ორიენტაციის, ჯანმრთელი და ავადმყოფი. შესაძლოა ჩვენთვის ცნობილი არ იყოს დაყოფის მიზეზი, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ გარიყულობა, დაუფასებლობა ან არგაგება იწვევს ძლიერ ტკივილს ადამიანის გულში.

ხსნის არმიის დაბადების მთავარი მიზეზი იყო დამცირებულთა, შეურაცხყოფილთა და ძალადობის და ექსპლუატაციის მსხვერპლთა და იმ ადამიანთა მიმართ თანაგრძნობა, ვისაც არავინ გააჩნდა რომ დალაპარაკებოდა. სიყვარულის ძალამ და დარწმუნებამ გამოიწვია ის, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის „უჩვეულო“ ხალხი შემოუერთდა რიგებს. მათ იპოვეს სითბო და სახლი. აუცილებელია, რომ ხსნის არმია ყოველთვის ასეთი ადგილი იყოს სხვებისთვის. განსაკუთრებით უნდა გავექცეთ ცდუნებას, რომ იგი არ ვაქციოთ ისეთ რესპექტაბელურ ადგილად, რომ თავი უხერხულად იგრძნოს მან, ვისთვისაც იგია განკუთვნილი. მოლოდინი გქონდეთ, რომ ზოგიერთი მოქცეული წაიქცევა და შესაძლოა შეურაცმყოფელიც კი იყოს მისი საქციელი. სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ რეაქციის დროს. ჩვენი საპასუხო რეაქცია უნდა იყოს დახმარების შეთავაზება და მის გვერდით ყოფნა - იესოს მსგავსად - და არა მათი უარყოფა და მსჯავრის დადება.

როდესაც საქმე ეკლესიის გარეთ მყოფ ხალხს ესება, ჩვენსა და მათ შორის ნაპრალი შეასძლოა ძალიან ფართო ჩანდეს. თაყვანისცემის მსახურების

ფორმალურობამ ან (პირიქით) სიმრავლემ შესაძლოა თავგზა აუბნიოს ადამიანს, ისევე როგორც ლიტურგიულმა ტერმინოლოგიამ და 'ქრისტიანულმა' საუბრებმა. ქრისტიანის მიერ აღქმული სიწმინდეც კი - რეალური ან არარეალური - ხელს უშლის ხალხს ჩვენთან დაახლოებაში. კვირა დილით მსახურებაზე ეკლესიაში ან ხსნის არმიის კორპუსში მისვლაზე ფიქრიც კი ბევრს აშფოთებს. მსგავსი სახის გამოწვევებს ყოველთვის ვაწყდებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა შევწყვიტოთ იმად ყოფნა ვინც ვართ, მაგრამ უნდა გვესმოდეს სხვებისაც და თუ ნამდვილად გვსურს 'სხვებიც' შემოვუშვათ ჩვენს ცხოვრებაში და ჩვენს ქრისტიანულ წრეში, მაშინ შეგნებულად უნდა დავუახლოვდეთ და ვეცადოთ გავუგოთ მათ.

წლების მანძილზე ხსნის არმიის ყველაზე განმასხვავებელი ნიშანი არის მისი სწრაფვა წმინდა ცხოვრებისკენ. იგი ამდიდრებს და შთააგონებს უამრავს, რაც ხელს უწყობს ცხოვრების და მდგომარეობის მუდმივ ტრანსფორმირებას. ინკლუზიურობის გამოწვევა არის იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი ვინც არ, ან ვერ, ირჩევენ ცხოვრების იგივე სტანდარტებს, სიტუაციებიდან ან მდგომარეობიდან გამომდინარე, თავი არ უნდა იგრძნონ გარიყულად ან არასაკმარისად კარგად. მოძრაობა რომელიც შეიქმნა და არსებობს სხვების კეთილდღეობისთვის საბრძოლველად უნდა უზრუნველყოს, რომ სტანდარტების შეთავაზებასთან ერთად გააღოს კარი დახურვის მაგივრად. აკრძალვებზე რომ არ გამახვილებულიყო უფრო მეტი ყურადღება ('ეს არ შეიძლება') მიმღებლობის მაგივრად, ხაზი გაესვა უმაღლეს საბჭოს შევედრაზე გენერალ პოლ რეიდერის მიერ, რომელმაც მოითხოვა ისეთი ვალდებულების აღება, რომელიც: 'დაგვეხმარება თავდაცვითი და კონსერვატიული პოზიციიდან თავის დაღწევაში, რომ ზოგ ადგილას საკუთრი ღირსების დასაცავად არ მოგვიწიოს სიკვდილი'.[1]

არმია სერიოზულად უდგება საკუთარ მიზანს, რომ ყველას დაეხმაროს ქრისტეს სახელით დისკრიმინაციის გარეშე.[2] დღესაც ამ მიმართულებით მუშაობს, რომელიც არც თუ ისე ადვილად გასავლელი გზაა. მტრული დამოკიდებულება, წინააღმდეგობა, გაუგებრობა, არასწორი წარდგენა, დახმარების არმიღების გამოცდილება, პატივისცემის ნაკლებობა, არამდგრადი კულტურული ეთიკა და მიკერძოება, ხელს უშლის ამ მიზნების მიღწევას. სიტუაციის მიუხედავად, იესოს მიერ ნასწავლი და ნაჩვენები სიყვარულის კანონი უნდა იყოს უპირველესი და განსაზღვრავდეს ჩვენს მისწრაფებებს.

გააზრება

‘ტერმინ ‘ჩვენ’-ს გვერდით ყოველთვის არსებობენ ‘ისინი’. ეს გარდაუვალია. ავტომატური. ეს იდენტობასთან არის დაკავშირებული, რომელიც ყველას გვაქვს.’

‘უნდა გავექცეთ ცდუნებას, რომ იგი არ ვაქციოთ ისეთ რესპექტაბელურ ადგილად, რომ თავი უხერხულად იგრძნოს მან, ვისთვისაც იგია განკუთვნილი.’

‘ინკლუზიურობის გამოწვევა არის იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი ვინც არ, ან ვერ, ირჩევენ ცხოვრების იგივე სტანდარტებს სიტუაციებიდან ან მდგომარეობიდან გამომდინარე, თავი არ იგრძნონ გარიყულად ან არასაკმარისად კარგად.’

‘სიტუაციის მიუხედავად, იესოს მიერ ნასწავლი და ნაჩვენები სიყვარულის კანონი უნდა იყოს უპირველესი.’

მოწოდებული
მიმდევრისკენ

მოწოდებული
საკუთარი თავი წარმოიდგინე ‘მათ’ ადგილას

ნაწილი მეხუთე

ყოველდღიურად

‘გაყოლა’ არ ნიშნავს რამეზე კონტროლს. ჩვენ არ ვირჩევთ დამოწაფების რომელი ასპექტია ჩვენთვის შესაფერისი და რომელი არა. გაყოლა ნიშნავს წინამძღოლის მიდევნებას.’

დასაწყისი

როდესაც იესოს გაყოლის გადაწყვეტილებას ვიღებთ, კარგად უნდა გვესმოდეს რაზე ვიღებთ პასუხისმგებლობას. იმით დავიწყოთ, რომ გაყოლა არ ნიშნავს რამეზე კონტროლს. ჩვენ არ ვირჩევთ დამოწაფების რომელი ასპექტია ჩვენთვის შესაფერისი და რომელი არა.[1] გაყოლა (როგორც აქამდე უკვე ვთქვით) ნიშნავს გამყოლის მიდევნებას.

ეს ამოძრავებს ჩვენს ლოცვას-რას ვთხოვთ, რას ველით, რამდენად ვენდობით ან რისი მიღწევა გვსურს. უფლის ხელში ვართ, რომელიც უსაფრთხოა და სიკეთით არის სავსე. მათ იციან როგორ გვაჩვენონ მიმართულება. ეს ის ხელებია რომელიც გაეკრა ჯვარზე და არ სჭირდება იმის მტკიცება, რამდენად ძვირფასნი ვართ მისთვის. ამაზე უკეთეს ხელში ვერ ვიქნებით. ასე რომ მიენდე მათ.

კიდევ ერთი რამ, რომელიც უკვე ვახსენეთ არის ის, რომ არაფერი უკვირს ღმერთს.[2] ის არის წარსულში, აწმყოში და მომავალში. მან ყველაფერი იცის. მისთვის ცნობილია ჩვენი წარსულის ყოველი დეტალი და ის ჩვენზე წინ არის ჩვენს მომავალში. ის ჩვენთან არის ყოველთვის ‘ახლა’. ასე, რომ ის არასდროს ვარდება პანიკაში. ჩვენ შესაძლოა (ხშირადაც კი) აღვშფოთდეთ და შევცბუნდეთ, მაგრამ არა ღმერთი. მას შეგვიძლია ვენდოთ. მხოლოდ იმის სწავლა გვჭირდება თუ როგორ გავაკეთოთ ეს უკეთესად - და ის ამაში დაგვეხმარება.

ასევე მნიშვნელოვანია გავიგოთ თუ რას გვპირდება უფალი - და რას არ გვპირდება. ის პირობას დებს, რომ ჩვენთან იქნება ჩვენი გულის სიღრმეებში თუ მივიპატიჟებთ და ჩვენს გვერდით- მთელი ჩვენი ცხოვრების მანძილზე. სიტყვები: „აჰა, მე თქვენთანა ვარ ყოველდღე წუთისოფლის აღსასრულამდე“, იყო მისი ბოლო აღთქმა მათეს სახარების მიხედვით (28:20). ის დაგვპირდა წინამძღოლობას (იოანე 14:26), ზრუნვას (1 პეტრე 5:7), სრულ გაგებას (ფს 102:14), პატიებას მარცხის დროს (ფს 102:12), საუკუნე სიცოცხლეს (მათე 19:29) და როგორც თვითონ აჯამებს „უხვ სიცოცხლეს“ (იოანე 10:10).

მაგრამ იგი არ დაგვპირებია პრობლემებისგან თავისუფალ ცხოვრებას (იოანე 16:33), განსაკუთრებულ კეთილგანწყობას, ან ცხოვრებას ტკივილის, ავადმყოფობის და სიკვდილის გარეშე. ზოგიერთი ევანგელისტის (გადაჭარბებული) დამოკიდებულება მცდარ მოლოდინებს აჩენს. ქრისტესგან მიღებული განკურნება განსხვავებულია. ის მარადიულია და გვეხმარება ამ პერსპექტივიდან დავინახოთ მისი აღთქმები და მოქმედებები. ასე იმედი არ გაგვიცრუვდება. ავივსებით სიხარულით, ნდობით და დაცულობით და არც არავის შევიყვანთ შეცდომაში.

იესოს გაყოლა - მისი მოწოდების მიღება - სულაც არ გულისხმობს სახლის დატოვებას. იესოსთან ერთად სიარული ყველასთვის განსხვავებულია, თუმცა ის ყოველთვის ნიშნავს იმას, რომ უფლის მსოფლმხედველობა უნდა გავუზიაროთ სხვებსაც. ჩვენგან ელიან, რომ ჩვენი საკუთარი მოთხოვნილებების, საზოგადოების და წარმოდგენების მიღმაც გავიხედოთ. იესოს ხელები სწვდება მთელ სამყაროს. ჩვენც ამისთვის უნდა ვიყოთ მზად.

ქველმოქმედება შეიძლება დაიწყოს სახლიდან, მაგრამ აქ არ უნდა დასრულდეს. როდესაც გულში ვიხუტებთ იესოს მისიას, ჩვენ გულში ვიხუტებთ მსოფლიოს მრავალფეროვან, არასრულფასოვან და პრობლემებით სავსე ხალხს. შესაძლოა ვერ ვხედავდეთ სამყაროს პოტენციალს ისე მკაფიოდ და სიყვარულით, როგორც იესო, მაგრამ მას სურს, რომ ვეცადოთ - და ამისკენ სწრაფვა ბევრად უფრო უკეთესს გვხდის, ვიდრე წარმოგვიდგენია.

ყველანი განურჩევლად ძვირფასნი ვართ ღმერთისთვის - ყველა მის ხატად ვართ შექმნილნი (არჩევანის და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად). ღმერთი ელოდება, რომ ყველა გაიგებს მის შესახებ და ხსნას იპოვიან მასში. იგი პატიობს, აღადგენს, მადლს სთავაზობს, ეხმარება და ანუგეშებს. თუ გვსურს დავემსგავსოთ უფალს, ჩვენც უნდა შეგვეძლოს მისი ამ შემოთავაზებების გათავისება.

იესო გვიყვება ისტორიას კაცზე, რომელმაც კოშკის აშენება დაგაწყვიტა (ლუკა 14:28). კოშკის მშენებლობის დაწყებამდე იგი ჯერ ხარჯს ითვლის. მას სურს დარწმუნდეს, რომ სწორედ ეს სურს და რომ ამისთვის საკმარისი თანხა აქვს. როცა გადავწყვეტთ იესოს გაყოლას, კარგი იქნება თუ მის რჩევას გავითვალისწინებთ. დაჯექით და ილოცეთ. იფიქრე დამოწაფებისთვის გასაღებ ფასზე და საკუთარ გადაწყვეტილებაზე. ამის შემდეგ კი.. მას მიანდე ყველაფერი.

გააზრება

‘გაყოლა არ ნიშნავს რამეზე კონტროლს. ჩვენ არ ვირჩევთ დამოწაფების რომელი ასპექტია ჩვენთვის შესაფერისი და რომელი არა.’

‘როდესაც გულში ვიხუტებთ იესოს მისიას, ჩვენ გულში ვიხუტებთ მსოფლიოს მრავალფეროვან, არასრულფასოვან და პრობლემებით სავსე ხალხს.’

‘შესაძლოა ვერ ვხედავდეთ სამყაროს პოტენციალს ისე მკაფიოდ და სიყვარულით, როგორც იესო, მაგრამ მას სურს, რომ ვეცადოთ - და ამისკენ სწრაფვა ბევრად უფრო უკეთესს გვხდის, ვიდრე წარმოგვიდგენია.’

მოწოდება

მოწოდებული

ჩამოთვალე შენი აზრით რას გვპირდება და რას არ გვპირდება ღმერთი.

დისტანცია

ადამიანის ქცევის ერთ-ერთი თვისება, რომელიც COVID-19 პანდემიის დროს განსაკუთრებით გამოიკვეთა იყო ის, რომ მოულოდნელად მისაღები გახდა 'საწინააღმდეგო მხარეს გადასვლა'.[1] ვირუსისგან საკუთარი თავის და სხვების დავცის გამო, ვცდილობდით ერთმანეთისგან დისტანცია დაგვეცვა. ეს ქრისტიანული ქმედება და გონივრული გადაწყვეტილება იყო. ჩვენ ვისწავლეთ გვეცხოვრა დღევანდელი დღით - მომავალი არაპროგნოზირებადი და გაურკვეველი იყო ვიდრე ოდესმე.

როდესაც იძულებულები ვიყავით იგივე მიზეზით დროებით დაგვეხურა ეკლესიები, სამლოცველოები და ხსნის არმიის შეხვედრის სივრცეები, უფრო მკვეთრად გამოჩნდა, რომ ღმერთთან ურთიერთობისთვის და მასთან საუბრისთვის აუცილებელი არ იყო ღმერთის სახლში მისვლა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ „ღმერთი ჩვენთანაა" და არა შორს. ყოველი დღე - და არა მხოლოდ კვირა - თანაბრად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი სულიერი ცხოვრებისთვის.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ის, რომ როცა მსახურებები გადავიდა ინტერნეტ სივრცეში, უამრავი არაეკლესიური ხალხი შეურთდა მსახურებებს. ეჭვი არ არის, რომ მათ დაიწყეს ფიქრი ღმერთზე და ეძებდნენ რწმენას პანდემიის გამოწვევების გამო, მაგრამ აშკარა იყო კიდევ ერთი რამ. ბევრი ადამიანი მზად იყო დაახლოებოდა ღმერთს, თუმცა ეკლესიისგან შორს იჭერდა თავს. ისინი ვინც თავს არიდებდა 'მომაბეზრებელ' ევანგელისტებს ან ეკლესიის პოლიტიკას ან თავს მოხვეულ 'წევრობას', ახლა ამ პრობლემებისგან თავისუფალი იყო. მათ მიეცათ საშუალება მოესმინათ და გაეაზრებინათ მოსმენილი სიტყვა სიმშვიდეში. რა მიზეზიც არ უნდა იყოს ამ ყველაფრის უკან, ფაქტია, რომ ხალხი ეძებდა რწმენას.

რას გვასწავლის ეს მისიასა და შესაძლებლობებზე? როგორ უნდა ვიმოქმედოთ? როგორ შეიძლება ამ ადამიანების ყურადღების მიქცევა ქრისტიანული ერთობის პოზიტიურ ასპექტებზე? როგორ გავიგოთ მათი საჭიროებები და ამავე დროს პატივი ვცეთ ეკლესიისგან შორს ყოფნის მათ ამჟამინდელ სურვილს? ეს შეკითხვები არ უნდა შევინახოთ 'სირთულეების' ყუთში. მათ სჭირდება სიღრმისეული შესწავლა ქრისტიანული საქმიანობის ყველა დონეზე. ახალი მიდგომების განვითარებასთან ერთად ბევრი გვაქვს სასწავლი.

უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანურ ბუნებას სურს ღმერთისგან დისტანციის დაცვა - იმის შიშით, ვაი თუ რამის გაკეთება ან შეცვლა გვთხოვოს ღმერთმა. უძღები შვილის იგავში იესო ამბობს, რომ ძე 'შორეულ ქვეყანაში' წავიდა (ლუკა 15:13), სადაც მისი მშობლები ვერ იხილავდნენ მის უმსგავსო და საზიანო საქმეებს. იგავის ბოლოს, როდესაც ძე მიხვდება თავის შეცდომას და გადაწყვეტს სახლში დაბრუნებას, ვხედავთ როგორ ელოდება მამა და ხედავს

მაშინ ‘როდესაც ჯერ კიდევ შორს იყო’ (ლუკა 15:20). ეს იგავი კარგად გვაჩვენებს პრობლემას - მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გვინდა ღმერთისგან შორს დავიჭიროთ თავი, ის დგას და გველოდება როდის დავბრუნდებით.

როდესაც თვალყურს ვადევნებთ იესოს ურთიერთობას ხალხთან, ვამჩნევთ რომ ის არ განიკითხავს მათ. მან მხოლოდ ის კი არ გვითხრა, რომ ღმერთში მოსიყვარულე მამას უნდა ვხედავდეთ, რომელიც ზრუნავს ჩვენს საჭიროებებზე, არამედ თვითონ გვაჩვენა იმ ადამიანებთა მეგობრობით, ვისაც არ ჰყავდა მეგობარი, მადლი გაიღო მათთვის, მათ შორის ყაჩაღისთვის, რომელიც მის გვერდით კვდებოდა ჯვარზე (ლუკა 23:43). იგი ხშირად იმეორებდა, რომ მსჯავრის დასადებად არ იყო მოსული (იოანე 3:17), თუმცა ბევრი ქრისტიანი სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებს (და ტოვებდა) წლების მანძილზე. იესო დაუახლოვდა ხალხს, მიიღო და გაიცნო ისინი. ის შორს არ დამდგარა მათგან მათ განსასჯელად. დღეს უამრავმა ადამიანმა არაფერი იცის იესოს, მისი სწავლების და მისი ცხოვრების შესახებ. შთაბეჭდილება, რომელსაც ჩვენ ვტოვებთ მათზე წარმოდგენას უქმნის მათ იმ ღმერთზე, რომელსაც განურჩევლად უყვარს ...ან პირიქით.

ალბათ ეს არის ღმერთის მიერ დისტანციის ყველაზე საუკეთესო შეჯამება, რომელიც დაწერილია ფსალმუნ 102:12-ში: „როგორც აღმოსავლეთია დაშორებული დასავლეთისგან, ისე განგვაშორა მან ჩვენი დანაშაული.“ იგი ამას აკეთებს ყველასთვის, ვინც სთხოვს. ასეთი სიყვარულის შემდეგ, მისგან დისტანციის დაცვა დიდი დანაკარგია.

გააზრება

‘ბევრი ადამიანი მზად იყო დაახლოებოდა ღმერთს, თუმცა ეკლესიისგან შორს იჭერდა თავს.’

‘იესო დაუახლოვდა ხალხს, მიიღო და გაიცნო ისინი. ის შორს არ დამდგარა მათგან მათ განსასჯელად.’

‘მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გვინდა ღმერთისგან შორს დავიჭიროთ თავი, ის დგას და გველოდება როდის დავბრუნდებით.’

მოწოდება
მზადყოფნისთვის

მოწოდებული
დარწმუნდი, რომ შენსა და ღმერთს შორის არ არის დისტანცია.

გამოცდილება

თუ იესოს მიმდევრობამ რამენაირად არ შეგვცვალა, მაშინ ეს მიმდევრობა არაფრისმთქმელია. მან უნდა შეგვცვალოს, შეგვაძლებინოს ჩვენი პოტენციალის აღმოჩენა და იმ ადამიანად ქცევა, როგორადაც ვიყავით ჩაფიქრებული - იმის მგავსი ვისაც მივყვებით, ვისგანაც ვიღებთ მაგალითს, ვინც მიგვიძღვის და გვაძლევს ძალას, იესოს.

ზოგისთვის ცვლილებები დასაწყისშივე ძალიან თვალშისაცემია და ტრანსფორმირებულიც - უცბად ერთი ცხოვრებიდან მეორეში. თუმცა მხოლოდ დასაწყისში. ცვლილებები გრძელდება, მისი შეჩერება შეუძლებელია. ასეა სამყარო და ასე ვართ ჩვენც. იგივე არაფერი რჩება. ცხოვრების გამოცდილებას თავისი გავლენა აქვს და მას მივყვებით. ჩვენში მყოფი უფლის სული გვცვლის ყოველი ახალი გამოცდილების მიღებასთან ერთდ.

ჩვენ ხშირად ვერ ვამჩნევთ ამ ცვლილებას. შესაძლოა ჩვენმა მეგობრებმაც ვერ დაინახონ განსხვავება. ეს იმიტომ ხდება რომ ცვლილება ასე უცბად არ ხდება. დღითი დღე, შეუმჩნევლად, თანდათანობით, ბუნებრივად, ღმერთის ჩვენში ყოფნას მადლით სავსე გავლენა აქვს ჩვენზე.[1]

ბოლო ათწლეულობის მანძილზე ძალიან ბევრი რამ ითქვა ‘ცვლიელებების’ შესახებ. ადვილად შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ ცვლილება იყო რაღაც ახალი და არა ის რაც მუდამ ჩვენთან იყო. იგი გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა სფეროზე და ეკლესია გამონაკლისი არ არის. ხანდახან ცვლილება გვიან მოდის, ხანდახან ცვლილებები ძალდატანებით ხდება. მას მოაქვს მარცხი ურთიერთობებში, გახსნილობაში ან ლიდერობაში. შესაძლოა სამივე სფეროში. ბუნებრივი განვითარების მიღწევა - ცვლილებების ერთად გამკლავება - წარმოუდგენელია ბევრისთვის. იესო არავის აიძულებს რომ შეიცვალოს. მას სურს რომ მასთან ერთად ვიაროთ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ნებით.

მოციქული პავლე წერდა სულიერ ნაყოფებზე (გალატელთა 5:22). მან ჩვენს ცხოვრებაში სულიერი ნაყოფების ზრდა შეადარა ნაყოფის სიმწიფეს. მან სიყვარულს, სიხარულს, მშვიდობას, სულგრძელობას, სახიერებას, სიკეთეს, ერთგულებას, სიმშვიდეს და თავშეკავებას ნაყოფი (ნიშან-თვისება) უწოდა, რომელიც ჩვენში იზრდება მაშინ, როცა ღმერთს ვთხოვთ, რომ იყოს ჩვენი ცხოვრების ცენტრი. შესაძლოა ვფიქრობთ, რომ ამ ჩამოთვლილი თვისებებიდან ზოგიერთი ერგება ჩვენს ხასიათს სხვებთან შედარებით, მაგრამ ჩვენ ამას არ ვირჩევთ. თითოეული უნდა იზრდებოდეს მაინც ჩვენში - რათა შევიცვალოთ უკეთესობისკენ და უფრო მეტად დავემსგავსოთ იესოს.

მისიის მიზანია ცვლილება. სიტუაციის შეცვლა, ადამიანების შეცვლა. სამყაროს შეცვლაც კი. იგი ასევე ცვლის მას, ვინც მისიაშია ჩართული - გამოცდილებების, დაკვირვებების და გამოწვევების დროს. ყველაფერს-სხვებთან ურთიერთობას, რეალურ სიტუაციებთან გამკლავებას, წინსვლისთვის გზის გაკვალვას -აქვს თავისი შედეგი.

ხანდახან ძალდატანებით ხდება ცვლილებები. გლობალურმა პანდემიამ შეცვალა პერსპექტივები, დამოკიდებულებები, გაგება და უსაფრთხოების განცდაც კი. ტრაგედიები, მოულოდნელი დანაკარგები, ღალატი დაუპატიჟებლად შემოიჭრა არამარტო ჩვენს ცხოვრებაში, არამედ იმ ადამიანების ცხოვრებაშიც ვის გულზე ვაკაკუნებდით. უფალი, რომელიც ზრუნავს ჩვენზე, მათზეც შეუძლია იზრუნოს.

ბრმა წინააღმდეგობის გაწევას ცვლილებების მიმართ ძალიან მცირე (ან არანაირი) შედეგი აქვს. ჩვენს ცხოვრებაში სხვა ადამიანებთან შეხვედრა აფართოებს ჩვენს პერსექტივებს, უკეთ გვესმის მათი, ვიგებთ რატომ ფიქრობენ ისინი ისე, როგორც ფიქრობენ და ეწინააღმდგებიან ცვლილებებს. როცა გახსნილად მივყვებით უფლის წინამძღოლობას აღმოვაჩენთ, რომ საჭიროა ხელახლა გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს, ვარაუდებს და იდეებს. ცხოვრება განვითარების გარეშე უსარგებლოა.

სინამდვილეში, მისიისკენ მოწოდება ნიშნავს ცხოვრების ცვლილებას. ეს ნიშნავს სიტუაციების და მდგომარეობების ცვლილებას. ეს მოწოდება მოიცავს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს. როგორც გენერალი პედლი ამბობს, ეს ნიშნავს მზადყოფნას, სხვებთან ურთიერთობას მათი საჭიროებების პერსპექტივიდან, ისევე როგორც პასუხისმგებლობის აღებას საჭიროების დანახვისთანავე. ეს არის ის რაც არასდროს უნდა დაგვავიწყდეს. მივცეთ იესოს იმის უფლება, რომ შეგვცვალოს მისიის საშუალებით, გაგვხადოს უკეთესი მისი მსახურებისთვის რათა ვემსგავსებოდეთ მას. არასდროს გამოგვრჩეს ეს ყურადღებიდან. ყოველდღიურად.

გააზრება

‘უფლის სული ჩვენში გვცვლის ყოველი ახალი გამოცდილების მიღებასთან ერთად.’

‘როცა გახსნილად მივყვებით უფლის წინამძღოლობას აღმოვაჩენთ, რომ საჭიროა ხელახლა გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს, ვარაუდებს და იდეებს.’

‘მივცეთ იესოს იმის უფლება, რომ შეგვცვალოს მისიის საშუალებით, გაგვხადოს უკეთესი მისი მსახურებისთვის რათა ვემსგავსებოდეთ მას. არასდროს გამოგვრჩეს ეს ყურადღებიდან. ყოველდღიურად.’

მოწოდებული
ლოცვისკენ

მოწოდებული
იყავი ღია უფლის
წინამძღოლობისთვის.

დასასრული

ყოველ მოგზაურობას აქვს დასასრული. როგორც ყოველთვის დანიშნულების ადგილი გათვლილია წინასწარ. იესოსთან ერთად მოგზაურობა არაფერს შეედრება. როგორც ღვთის სიტყვა, ისიც *ანი* და *ჰეა*,[1] დასაწყისი და დასასრული. ამასთანავე იგი ამბობს, რომ გზაა (იოანე 14:6). საერთო ჯამში მოგზაურობის ობიექტი თვით იესოა, მისი გაცნობა, მასთან ერთად მარადისობაში ყოფნა (იოანე 16:17-23) და რაც შეეხება მარადისობას, ის ხშირად ამბობდა, რომ ამ წუთისოფელში პირველნი უკანასკნელნი იქნებიან მარადისობაში (მარკოზი 10:31). იგი მოწაფეებს ასწავლიდა, რომ ჭეშმარიტი პირველობა იმას კი არ ნიშნავს, რომ პირველი გაიქცე, არამედ იმის ცოდნას თუ როგორ დაეხმარო სხვებს იპოვონ საკუთარი ადგილი (მარკოზი 9:35). ამ მოგზაურობას თავისი მიზანი აქვს.

ფაქტია, რომ ცხოვრება შეჯიბრი არ არის - არც ის, თუ ვინ არის უკეთესი ქრისტიანი ან ყველაზე მეტად ქრისტეს მსგავსი. მსგავსი დამოკიდებულება საშიშია და სრულად ეწინააღმდეგება იმ მთავარ მიზანს, რომელიც არის უფლის ნების შესრულება. მისიისკენ მოწოდებაზე თანხმობა ნიშნავს, რომ ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი დავეხმაროთ რაც შეიძლება მეტ ადამიანს შეაბიჯონ უფლის სამეფოში - პირველობისთვის ბრძოლის გარეშე.

ეს ყოველივე არის იესოს - მსახურად ყოფნის- გაგება. მისი მიმდევრები ძალას კი არ უნდა იყენებდნენ, არამედ გულკეთილობასა და თავმდაბლობას იჩენდნენ (მათე 11:28-29). მან სულიერი ავტორიტეტი გადასცა მათ, ვინც მისი სულით იარებოდა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ყოველივე უფლის წყალობაა და არ უნდა გამოიყენონ საკუთარი მიზნებისთვის. „უსასყიდლოდ მიგიღიათ და უსასყიდლოდვე გაეცით“ ამბობს იესო (მათე 10:8). მისი ავტორიტეტი იყო და არის მსახურად ყოფნა.

მიუხედავად ამისა, სულიერი ავტორიტეტი სუსტდება თუ უფლის წინაშე არ ვართ მართალნი. თუ არასწორი დამოკიდებულებები, ორმაგი სტანდარტები ან სხვადასხვა მოტივები იმალება ჩვენს რაობაში, ჩვენ არ უნდა ველოდოთ, რომ გავიხარებთ უფლის ძალის მოქმედებით ჩვენს საქმიანობაში. ამას შედეგად მოჰყვება მარცხი. არაფერი არსებობს იმაზე უკეთესი განცდა, როცა იცი რომ შენი ცხოვრება მთლიანად ეძღვნება ღმერთს და მის მიზნებს. არასდროს უნდა შეგვრცხვეს ამ ამბის სხვებისთვის გაზიარება.

თუმცაღა, რაც არ უნდა ბევრი ვეცადოთ, რომ მაქსიმალურად ვუპასუხოთ იესოს წინამძღოლობას, შესაძლოა გაგვიჭირდეს სრულად მინდობა. ნდობას ზრდა სჭირდება. იგი რწმენის გამოცდით ფასდება. ადვილი და შემოვლითი გზა არ არსებობს.

ადვილი და შემოვლითი გზა არც სახარების ხარების გზაზე არსებობს. სამწუხაროდ ხშირია იმ ძალისხმევის ნაკლებობა, რომ ადამიანებთან ურთიერთობა მოხდეს მათი ყოფნის ადგილას, მათთვის გასაგებ ენაზე. დროა საჭირო იმის გასაგებად თუ რას ნიშნავს მათ ადგილას ყოფნა. დედამიწაზე მოვლინებით იესომ გაიგო თუ რას ნიშნავს ჩვენს ადგილას ყოფნა, შეგვხვდა იქ სადაც ვიყავით და დაგველაპარაკა ჩვენთვის გასაგებ ენაზე ნათლად და უბრალოებით. სახარებები სავსეა იმის მაგალითებით თუ როგორ ცხოვრობდა და როგორ იზიარებდა ჩვენს ცხოვრებას. გაუგებარი რელიგური

ტერმინოლოგიით და დოქტრინებით არ გველაპარაკებოდა. ეს არის მოყვასის სიყვარული - ცხოვრების წესი, რომელზეც მან ასე ნათლად ისაუბრა მთაზე ქადაგების დროს (მათე 5-7). მან არაერთხელ გვაჩვენა, რომ სიყვარული ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რელიგიური წესების დაცვა.

გენერალმა ალბერტ ორსბორნმა არაერთი საგალობელი დაწერა ცხოვრების მოგზაურობაზე, რომელიც ასე ამდიდრებს ჩვენს მოწაფეობას. საგალობელს „მე ვიცი ვინ ხარ შენ“,[2] იწყებს იმაზე ხაზგასმით, რომ მან იესოს ნაკვალევი შეამჩნია თავის ბილიკზე. საგალობლის მოსმენისას ვამჩნევთ, რომ იესო, რომელიც დასაწყისში ჯერ მის გვერდით მიდიოდა, ახლა წინ უძღვის. დასასრულს, ბოლო სტროფში, იესო მიგვიძღვის და ჩვენ ვიწყებ ლოცვას:

დაე არაფერმა დამხიოს უკან,
ან გული არ ამიცრუვდეს შენზე,
არამედ გოლგოთისკენ მიმავალმა გზამ
შემაძლებინოს შენი სახის ნახვა
უფლის სამსჯავროზე, სიმართლის ქალაქში,
სადაც ჩემი სახელია ამოტვიფრული.

მისია აღსრულდა.

გააზრება

‘ცხოვრება შეჯიბრი არ არის - არც ის, თუ ვინ არის უკეთესი ქრისტიანი ან ყველაზე მეტად ქრისტეს მსგავსი. მსგავსი დამოკიდებულება საშიშია...’

‘საერთო ჯამში მოგზაურობის ობიექტი თვით იესოა, მისი გაცნობა, მასთან ერთად მარადისობაში ყოფნა.’

‘სულიერი ავტორიტეტი სუსტდება თუ უფლის წინაშე არ ვართ მართალნი. თუ არასწორი დამოკიდებულებები, ორმაგი სტანდარტები ან სხვადასხვა მოტივები იმალება ჩვენს რაობაში, ჩვენ არ უნდა ველოდოთ, რომ გავიხარებთ უფლის ძალის მოქმედებით ჩვენს საქმიანობაში.’

მიწოდება
რომ იყო იქ!

მიწოდება
უსასყიდლოდ გაეცი ის რაც უსასყიდლოდ მიგიღია.

დამატებითი საკითხავი და შენიშვნები

მოწოდება მისიისკენ

1. სრული კონტექსტისთვის იხილეთ *The Salvation Army in the Body of Christ (ხსნის არმია ქრისტეს სხეულში)*, გამოცემული საერთაშორისო შტაბბინის მიერ (IHQ).

იესოს მოწოდება

იცნობდე ღმერთს

1. სახარებების შესწავლა, თუ რას ამბობს იესო ღმერთზე, გვეხმარება გავიგოთ, რომ ღმერთი ქმნის, ზრუნავს და გვერდში გვიდგას. იოანეს სახარებაში გაჟღერებული ყოველი 'მე ვარ', მთაზე ქადაგებები (მათე 5–7), მისი ლოცვა იოანე 17 -ში და სხვა სწავლებები ღმერთის შესახებ გამიზნულია ღმერთზე არასწორი შეხედულებების შესასწორებლად (მათე 5:21, 27, 31, 33, 38 და 43) ან რამის დასადასტურებლად. მაგალითად გაითვალისწინეთ განსხვავება ესაია 61:1-2-სა და იესოს დანცხადებას შორის ლუკა 4:18-19-შორის, სადაც შურისძიების დღე არ არის ნახსენები, თუმცა ხაზგასმულია მისი ღვთიური მისიის პოზიტიური მხარე. ასევე ყურადღება გაამახვილეთ როგორ სდებს იესო მსჯავრს რელიგიურ ლიდერებს და მწიგნობრებს, რომლებიც ამახინჯებენ და ამძიმებენ ღმერთის მოთხოვნებს (მათე 23:2-4).

იცნობდე საკუთარ თავს

1. პლატონის გამონათქვამი ნამუშევარში *The Allegory of the Cave*, რომელიც პირველად გამოიყენა სოკრატემ სასამართლოზე.
2. იხ. იგავები 16:2: „კაცის ყველა გზა სუფთაა მის თვალში, მაგრამ უფალი სწონის სულებს" და იერემია 17:9 'ყველაფერზე ცბიერია გული და გაუკუღმართებული; ვინ ჩასწვდება მას?'

იცოდე შენი მისია

1. „ერთი არმიის' სასწავლო კურსი სახელწოდებით 'ერთი ცხოვრება'
2. მე ვიბრძოლებ!

სანამ ქალები ტირიან, ისე როგორც დღეს, მე ვიბრძოლებ,
სანამ ბავშვები შიმშილობენ, ისე როგორც დღეს, მე ვიბრძოლებ,
სანამ მამაკაცები ციხეში არიან, ისევე როგორც დღეს , მე ვიბრძოლებ
სანამ არის მიტოვებული ლოთი,
სანამ ქუჩაში არის უბედური, დაკარგული გოგონა,
სანამ ჯერ კიდევ არის თუნდაც ერთი დაკარგული სული, უფლის სინათლის გარეშე,
მე ვიბრძოლებ- ვიბრძოლებ ბოლომდე.
უილიამ ბუთი

3. *ხსნის არმიის საგალობლების წიგნი (The Song Book of The Salvation Army)* 935.
4. მაგალითად: იოანე 4:1-30; იოანე 8:2-11; ლუკა 19:1-10.

იყავი მზად

ლოცვა

1. ფსალმუნი 102:13.
2. ცერემონიალებთან დაკავშირებული საკითხები და ის თუ რა არის მნიშვნელოვანი ქრისტიანისთვის უფრო დეტალურად არის განხილული საერთაშორისო შტაბბინის „ერთი არმიის“ პუბლიკაციაში, „ჩემი ცხოვრება უფლის ხელთ“ (*In the Master's Hands)*.*
3. როუან უილიამსის „ღმერთი ჩვენთან არს“-იდან. 'ლოცვა ყველაზე მყარი საფუძველია, რომ „ღმერთმა იმუშაოს ჩვენში“, სული აცოცხლებს ქრისტეს ჩვენში იმ ადგილას, სადაც ქრისტე რეალურია, სული მოდის რათა ქრისტე გააცოცხლოს ჩვენს გულებში.'

სიწმინდე

1. *Holiness Unwrapped ('გახსნილი სიწმინდე)** ხაზს უსვამს თუ როგორ „ჩამოიყვანა მან ღმერთი მიწაზე.. გვასწავლა ადამიანის ფორმაში რას ნიშნავდა რეალური წმინდა ცხოვრება. იესო იყო გახსნილი სიწმინდე', (რომელიც მანამდე უცნობი იყო). ეს გვასწავლის იმას, რომ იესოსთან ურთიერთობა და მისი მსგავსებისკენ სწრაფვა არის წმინდა ცხოვრებისკენ მიმავალი გასაღები.
2. ხსნის არმია დაარსებიდან იყენებდა საგალობლებს, რომლებიც ხაზს უსვამდა ჩვენს ღმერთთან ურთიერთობებს და სულიერი გამოცდილების სიღრმეებს. არმია კურთხეული იყო პოეტებით, რომლებმაც დაგვიტოვეს უამრავი საგალობელი, რომლებიც გვეხმარება უფალთნ სასაუბროდ. გთავაზობთ რამოდენიმე მათგანს.

ახალგაზრდა
მაცხოვარო, სანამ ჩემი გული რბილია მას
გიძღვნი შენ; მთელს ჩემს ენერგიას
გიძღვნი შენ, შენ და მხოლოდ შენ
ჯონ ბურტონ ჯუნიორი

დამოწაფება
ჩათვალე, რომ მოგყვები
და მთელი ცხოვრება შენს
მსახურებაში ვიქნები...
ჯონ ბრუსი

მიძღვნა

უნდა მიყვარდე და სიყვარულმა უნდა მმართოს,
ბავშვის გულივით აღელვებულია და ხტუნავს
გული ჩემში, ამად ღირს ჩემი საქმიანობა..

ალბერტ ოსბორნი

დაფიქრება

ამ წყნარ ადგილას,
შენი ტახტის წინ,
შენს თანდასწრებაში,
ვიცი რომ მცნობენ.
ამ წყნარ ადგილას ჩემი სული
თავისუფალია
ეს ადგილი უკეთესს მხდის.

ჯონ გოვანსი

მზად ბრძოლისთვის

1. მრავალი წლის მანძილზე ჩატარებული გამოკვლევები და გამოკითხვები ამტკიცებს, რომ მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანთა უმერესობა იყო სექსალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვობის ასაკში, უმეტესად ერთზე მეტი ადამიანის მიერ.
2. სწავლულთა სკოლა ვარაუდობს, რომ რეალურად წმ. ფრანცისკემ თქვა „..და ასევე სიტყვითაც“ - რომელიც ხაზს უსვამს ორივე ასპექტის, სიტყვის და საქმის მნიშვნელობას.
3. მაგალითები, როცა უარი თქვა სასწრაფო მოქმედებაზე და პანიკაზე ნაჩვენებია ლუკა 8:40-56; იოანე 7:3-6 და იოანე 11:1-6-ში.

ჩაერთე

მსახურება

1. ის რომ მსახურება სისუსტეს არ ნიშნავს, ხაზგასმულია წიგნ „მსახური ლიდერი“-ში (*Servant Leadership)*.*
2. საგალობლები„მსახურების“ შესახებ დღესაც წარმოადგენს ხსნის არმიის მსახურების ეთოსს. გთავაზობთ რამოდენიმე მათგანს - მსახურება ყოველდღიურად:

P.S. ამ წიგნში მოცემული ყველა ჰიმნი ნათარგმნია მხოლოდ სიტყვა-სიტყვით, შენარჩუნებულია შინაარსი და არა მელოდია.

მასწავლე როგორ მიყვარდე,
მასწავლე როგორ ვილოცო,
მასწავლე როგორ გემსახურო,
უკეთესად ყოველდღე.
უცნობი

დღევანდელობაში მსახურებისთვის,
ჩემი მოწოდების აღსასრულებლად
დაე მთელი ჩემი შესაძლებლობა
იყოს გამოყენებული
უფლის ნების შესასრულებლად!
ჩარლს ვესლი

ყველაფერზე მეტად ჩემი მსახური
უფლის მსახური ვიქნები;
დიდება მის სიწმინდეს,
მისი ნების შესრულება უდიდესი
ჯილდოა.
ედვარდ ჰენრი ჯოი

მხსნელო, ყველაფერი მომაქვს
შენს წინაშე; დამელაპარაკე და
დაგემორჩილები; მინდა შენი
მსახურის ბეჭედი მესვას.
შენი ძალით ვლოცულობ
ღმერთო.
ელის ჯორგინა ედვარდსი

როგორ გემსახურო უკეთ უფალო,
რომელმაც ამდენი რამ გააკეთე
ჩემი გულისთვის?
მერყევი და სუსტი იყო ჩემი
მსახურება, ნეტა ჩემს ცხოვრებას
ესაუბრა შენზე.

ჯვართან, სადაც ხდება ძალის
განახლება უძლური ვეცემი
მუხლებზე, გევედრები უფალო,
შენს მსახურებისთვის მისაღები
გამხადე.
ბრამველ კოულზი

იესო პირობა მოგეცი, რომ ცხოვრების
ბოლომდე გემსახურები,
იყავი ჩემს გვერდით მუდამ, მეგობარო და
მეუფევ ჩემო.
არ შევუშინდები ბრძოლას თუ ჩემს
გვერდით დარჩები,
და არც გადავუხვევ გზიდან, თუ ჩემი
წინამძღოლი იქნები.
ჯონ ერნესტ ბოდე

მე მოგყვები შენ როგორც შენი მსახური.
კარგად თუ ცუდად მე შენ გეკუთვნი
ვიდრე არ ვიხილავ შენს სახეს
ჯონ ბრუსი

ჩემთვის სიამოვნებაა მსახურება
ყველაზე მეტად
ყველაზე მეტად
რუს თრეისი

მეუფეო, ნება მიბოძე შენთან ერთდ
გავიარო მსახურების რთული ბილიკები,
გამანდე შენი საიდუმლო, დამეხმარე
სირთულეების დროს და იზრუნე.
ვაშინგტონ გლადენი

უფალო და კაცობრიობის მშობელო,
გვაპატიე ჩვენი სისულელეები,
შეგვმოსე სამართლიანობით;
სიწმინდეში გვაპოვნინე შენი მსახურება და
განდიდების გზები.
ჯონ გრინლიფ ვითერი

შენი თანდასწრების საიდუმლოება,
სადაც წმინდა გულია, არის წმინდა
მსახურების და ძალის სათავე..
ალბერტ ორსბორნი

გვაკურთხე უფალო, რომ ჭეშმარიტად გიხილოთ,
და შემდეგ მოვყვეთ ის რაც ვიხილეთ.
დაე ამან მართოს ჩემი ცხოვრება,
დაე იგი იყოს წმინდა ნათელი.
ხელახლა დაბეჭდილი, სურვილით
სავსე რათა გაგიცნო, შემდეგ
გემსახურო და მერე ვიხილო შენი
დიდება
ალბერტ ორსბორნი

მხსნელო, თუ ფეხები
ამიკანკალდა ჯვრისკენ მიმავალ
გზაზე, თუ ჩემი მიზანი
შეიცვალა ან ოქროს შეერია
ნარჩენი, ნუ ამიკრძალავ
მსახურებას, დრო მომეცი.
გამატარე მკაცრი განწმენდის
გზა თუ შეიძლება, რათა
მოგანიჭო სიხარული.
ალბერტ ორსბორნი

უნდა მიყვარდე და სიყვარულმა უნდა მმართოს,
ბავშვის გულივით აღელვებულია და ხტუნავს
გული ჩემში, ამად ღირს ჩემი საქმიანობა..
ძლიერი და მიმთმენი სიყვარულით
პრინციპულობით და ცეცხლით,
გულით, გონებით და სამშვინველით სიყვარული
არის ქრისტეს მსახურების ერთადერთი სურვილი
ალბერტ ორსბორნი

მსახურება, რომელიც შენი სიყვარულით არის
სავსე არ წარმოადგენს ტვირთს.
ჩემმა გულმა იცის ის ჭეშმარიტება, რომელიც
თავისუფლებას ანიჭებს.
საკუთარი თავის უარყოფა
თავისუფლებაა.
ანა ლეტიცია ვერინგი

ყველა მათგანი შეგიძლიათ იხილოთ ხსნის არმიის საგალობლების წიგნში (*The Song Book of The Salvation Army* (*SASB*))
P.S. ამ წიგნში მოცემული ყველა საგალობელი ნათარგმნია მხოლოდ სიტყვა-სიტყვით, შენარჩუნებულია შინაარსი და არა მელოდია.

3. *მსახური ლიდერი'(Servant Leadership)** იესო მოყავს, როგორც უზენაესი მისაბაძი მაგალით

თაყვანისცემა

1. უფლის თაყვანისცემა ჩვენი ცხოვრების წესით სწორედაც, რომ არის საერთაშორისო სულიერი ცხოვრების კომისიის (International Spiritual Life Commission) 'თაყვანისცემისკენ მოწოდება', რომელიც უფრო ფართოდ არის წარმოდგენილი IHQ პუბლიკაციებში „ღმერთის ხალხად წოდებულნი" (*Called to be God's People*.)*
2. კულტურულად აქტუალური და ინოვაციური მსახურებები დაინერგა ინტერნეტ სივრცეებში COVID-19 ით გამოწვეული შეზღუდვების გამო. ინოვაცია გრძელდება, როგორც მსახურების ხელმისაწვდომობის გზა უფრო ფართო მსმენელისთვის.

ნდობა

1. ჯონ გოვანსმა ამას ხაზი გაუსვა თავის სიმღერაში "ვიღაც ზრუნავს' (Someone cares):

აიღე პასუხისმგებლობა

ყველა თაობის წარმოჩენა და ზრუნვა

1. IHQ პუბლიკაციისდან, „თაობიდან თაობამდე" (*From Generation to Generation)***, გვიჩვენებს თუ რამდენად ღრმაა თაობებს შორის კავშირი საღვთო წერილში და რამდენად მნიშვნელოვანია იგი დღესაც. ამ წიგნს საუკეთესო შედეგი აქვს, როცა სხვადასხვა თაობები ერთად უთმობენ დროს მის შესწავლას.
2. *„თაობიდან თაობამდე" საუბარს იწყებს ცვლილებებზე, რომელიც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს და რომელსაც სრულიად განსხვავებულად ხვდება სხვადასხვა თაობა.*
3. იხილეთ ქვეთავი „დაძაბულობის ნიშნები" წიგნში „თაობიდან თაობამდე"
4. უმცროსი ჯარისკაცები და ინფრასტრუქტურაზე საუბრობს ქვეთავი 'გამომძერწე ' წიგნში „თაობიდან თაობამდე"

ღირებული თანაგრძნობა

1. განკურნებასთან დაკავშირებული საკითხავები: მარკოზი 1:40-42; იოანე 11:38-44; იოანე 9:1-7; მარკოზი 7:31-37 და მათე 11:5.
2. იხ 'სიყვარულის საზღაური' *One Army (ერთი არმია)*სასწავლო მასალაში, სახელწოდებით 'სიყვარულში'.
3. იხ 'სიყვარულის საზღაური' *One Army (ერთი არმია)* სასწავლო მასალაში, სახელწოდებით 'სიყვარულში'.
4. იხ 'ხსნის არმია და იმედი' *One Army (ერთი არმია)* სასწავლო მასალაში, სახელწოდებით „იმედით".

ინკლუზიურობა

1. გენერალი რეიდერი მასზე საუბრობს თავის 2015 გამოცემაში, *To Seize this Day of Salvation* („ჩაეჭიდე ხსნის დღეს“).
2. ხსნის არმიის საერთაშორისო მისია: „ხსნის არმია“ როგორც საერთაშორისო მოძრაობა, მიეკუთვნება მსოფლიო ევანგელური ეკლესიის ნაწილს.მისი გზავნილი დაფუძნებულია ბიბლიაზე. მისი მსახურება მოტივირებულია უფლის სიყვარულით. მისი მიზანია იესო ქრისტეს სახარების ქადაგება და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ადამიანების საჭიროებების შესაბამისად დაკმაყოფილება.

ყოველდღიურად

დასაწყისი

1. თუ როგორ ეხმარება იესო პეტრეს ამ პრინციპის გაგებაში ჩანს იოანე 21:20-22.
2. ფსალმუნი 138:15 საუბრობს ღმერთის ყოვლისმცოდნეობაზე

დისტანცია

1. კეთილი სამარიელის ისტორიიდან, ლუკა 10:32.

გამოცდილება

1. ყოველდღიური ტრანსფორმაცია ხაზგასმულია 2 კორინთელთა 3:18-ში.

დასასრული

1. ასე აღწერს ღმერთი თავისთავს ბოლო ჟამს – გამოცხადება 22:13.
2. ხსნის არმიის საგალობლების წიგნი *SASB* 79.

*რობერტ სტრიტისგან

** რობერტ და ჟანეთ სტრიტებისგან

გააზრება

გააზრება

one army

A unique INTERNATIONAL TEACHING RESOURCE

13 books, each designed to help with mission and understanding of the Christian faith

13 BOOKS IN ONE! (plus DVDs)





The *One Army Complete Series* (plus DVDs)

* Used in more than 20 languages
* Youth content and participation
* Group discussion
* Live Web meetings
* Linking the Army world in both purpose and unity
* Introducing and deepening faith

THERE IS NO LIMIT TO THE VARIETY OF WAYS IN WHICH THIS RESOURCE MAY BE USED

PARTICIPATE ON SOCIAL MEDIA /tsaonearmy @TSAOneArmy www.salvationarmy.org/onearmy

AVAILABLE FROM SALVATION ARMY TRADE STORES OR WWW.SALVATIONARMY.ORG/ONEARMY

MORE *ONE ARMY* BOOKS

IN THE MASTER'S HANDS

A look at what discipleship means today, highlighting the Salvation Army's emphasis on each life being sacramental. It advocates relationship with Christ as the essential centre and power force of authentic Christian living.

MY LIFE IN GOD'S HANDS

Written by Nick Coke

Excellent resource for youth, providing an easy and informative perspective on Christian faith and commitment.



ALL *ONE ARMY* BOOKS AVAILABLE FROM SALVATION ARMY TRADE DEPARTMENTS

FOR THOSE WHO WOULD LIKE TO
INTRODUCE A FRIEND TO JESUS BUT DON'T KNOW HOW,
THIS BOOK IS JUST WHAT YOU NEED!

Who is this Jesus anyway?

A CONCISE, CLEAR LOOK AT WHO JESUS IS, WHAT HE DID AND TAUGHT, AND WHAT HE CAN MEAN TO EACH OF US TODAY. IDEAL TO SHARE WITH FRIENDS OPEN TO FAITH. IN BOTH BOOK AND LEAFLET FORMATS

'A GREAT RESOURCE!' AMY REARDON USA



From Generation to Generation

An all-embracing way to bring all ages together.

This book takes a look at Salvation Army ministries to all age groups and examines how links can be forged between generations.